პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საგზოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი | № 63 (12271) | ხუთშაბათი, 15 მარტი, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.

გაზაფხულია, მეგობრებო, მაშ შრომის ჰიმნი დავაგუგუნოთ!

პარტია მოგვიწოდებს

დადგა გაზაფხული, დიადი შვიდწლედის მეოთხე გაზაფხული.

ბუნებამ გამოიღვიძა, ველად გავიდნენ პირველი ტრაქტორები, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა თესვა გააჩაღეს.

წელს გაზაფხული განსაკუთრებულ ვითარებაში დაიწყო. ეს არის მუშაობა დაამთავრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა.

ყველა საბჭოთა ადამიანი უდიდესი კმაყოფილებით შეხვდა პლენუმის მიერ შემუშავებულ ღონისძიებებს, იმ ამოცანათა განხორციელებისათვის, რომელიც პარტიის XXII ყრილობამ დასახა სოფლის მეურნეობის ყოველმხრივი აღმავლობის, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად.

ახლა როცა სკკპ ახალი პროგრამა ღრმად შეიჭრა ცხოვრებაში, დაეუფლა ჩვენი ხალხის გულსა და გონებას, პარტიამ გადაწყვიტა მიმართოს ხალხს მოწოდებით ავიღოთ ახალი სიმაღლეები სოფლის მეურნეობაში, ავიღოთ იგი საბჭოთა ხელისუფლების ყველა ძალებითა და შესაძლებლობით.

სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვე — ეს არის კომუნისტური მშენებლობის დამკვრელური ფრონტი. ეს ფრონტი რომ მძლავრი და შედეგიანი იყოს, ამისათვის საჭიროა უნარიანად და მთლიანად გამოვიყენოთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების იურიდიული შესაძლებლობანი, ამოუწურავი რეზერვები, საუცხოოდ მოვაწყოთ წარმოება.

ამჟამად სოფლის მეურნეობის დარგში მთავარ ამოცანად პარტია სახავს სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძველთა საფუძვლის მარცვლეულის წარმოების გადიდებას. სკკპ ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს, აგრონომებს, მექანიზატორებს, ყველა კოლმეურნესა და საბჭოთა მეურნეობის მუშას გაშალონ მასობრივი მოძრაობა ხორბლის, სიმინდის, ბარდის, ფეტვის, წიწიბურის და სხვა მარცვლეული და სამარცვლე პარკოსანი კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის. საჭიროა ყოველ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მიზნად დაისახონ მიაღწიონ მოსავალს: ხორბლისა და სხვა მარცვლეული კულტურებისა — ოც-ოცდაათუ ცენტნერს ჰექტარზე, სიმინდისა — 50 ცენტნერს ჰექტარზე, ბარდისა და საკვები პარკოსნებისა — 20-30 ცენტნერს ჰექტარზე.

ამ დიდი ამოცანის შესრულებას მძლავრი საფუძველი ახლა ეყრება, გაზაფხულის ამ ნათელ დღეებში. ჩვენი რესპუბლიკის საკოლმეურნეო მინდვრებიდან მოდის სახიხარულო ცნობები იმის შესახებ, რომ მთელი ფრონტით გაიშალა მუშაობა ჩაის პლანტაციებში, ვენახებში, ითესება ძვირფასი კულტურა ბარდა, მაკვეთებში შეაქვთ ორგანული და მინერალური სასუქები.

ეს მხოლოდ საქმის დასაწყისია. იმისათვის, რომ დავიპყროთ მაღალი ზღუდეები, სოფლის მეურნეობაში მკვდარ, ცხოგრებით უარყოფილ მავნე სქემას უნდა დავუპირისპიროთ სათესი ფართობების ახალი სტრუქტურა, აქტიური ბრძოლა უნდა გავაჩაღოთ ყველაზე პროდუქტიული კულტურების ფართო დანერგვისათვის, რაც შეიძლება ნაკლები დანახარჯით ყოველ ჰექტარზე მივიღოთ მეტი მოსავალი.

დიდი ამოცანები დგას ჩვენი რესპუბლიკის მეცხოველეობის მუშაკთა წინაშე. ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის მოხსენებაში აღნიშნა: „თუ ავიღებთ საქართველოს, იგი წარმატებით ასრულებს ჩაის წარმოების შვიდწლედის დავალებას. პირველი სამი წლის გეგმა შესრულებულია 109 პროცენტით. ეს კარგია. ჩაისათვის საბჭოთა ადამიანები მადლობას გიძღვნიან, ამხანაგო ქართველებო. იმისათვის კი, რომ ხორცის წარმოების შვიდწლედის პირველი სამი წლის დავალება შესრულებულია 85 პროცენტით და რძისა — 74 პროცენტით, არა მგონია ვინმემ მადლობა გითხრათ წარმოების ასეთი დონისათვის“.

ეს მითითება მუდამ უნდა ახსოვდეს ჩვენი სოფლის მეურნეობის მუშაკებს. მეცხოველეობის სწრაფი აღმავლობის მთავარი გადამწყვეტი პირობაა საკვების სიუხვე. თუ იქნება საკვები, იქნება პირუტყვიც, ხოლო თუ პირუტყვი იქნება, იქნება ხორციც, რძეც, კარაქიც...

— გააფართოეთ უხვმოსავლიანი კულტურების — პირუტყვის საკვებად სიმინდის, ბარდის, საკვები პარკოსნების, შაქრის ჭარხლის ნათესები, უფრო ფართოდ დანერგეთ ამ კულტურების თესვის, დამუშავებისა და მოსავლის აღების მექანიზებული წესები, შეამცირეთ შრომისა და ხასრების დანახარჯები მათ წარმოებაზე. — ასე მოუწოდებს სკკპ ცენტრალური კომიტეტი თავის მიმართვაში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელებს.

ჩვენს რესპუბლიკაში უკვე დასახულია მკვეთრი ღონისძიებები იმისათვის, რომ გადიდდეს სიმინდის, პარკოსნებისა და შაქრის ჭარხლის, ესე იგი იმ კულტურების ნათესები, რომლებიც ყველაზე ეფექტიანია სასოფლო-სამეურნეო წარმოებში. საქართველოში წელს დათესება მარტო ბარდა 80 ათას ჰექტარზე. თებერვალსა და მარტში უკვე დათესილია 8 ათას ჰექტარზე მეტი.

სოფლის მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობა პირველ რიგში დამოკიდებულია ადამიანებზე, კადრებზე, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებზე, მათ ინიციატივაზე, საქმისადმი გულისხმიერ, შემოქმედებით დამოკიდებულებაზე.

ჩვენს რესპუბლიკაში სოფლის სპეციალისტთა დიდი ნაწილი მართლაც თავდადებით მუშაობს, სარგებლობს ხალხის მხარდაჭერით, მშრომელთა სიყვარულით. მაგრამ განა ცოტა არის ისეთი მეურნეობები, სადაც არ ყოფნით სპეციალისტები?!.. ეს მაშინ, როცა ბევრი აგრონომი, ინჟინერი, ზოოტექნიკოსი, ვეტერინარი ექიმი, ეკონომისტ-ორგანიზატორი მუშაობს სხვადასხვა უწყებებსა და დაწესებულებებში. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოუწოდა ამ სპეციალისტებს გამოავლინონ პატრიოტული გრძნობები, გამოიჩინონ ხალხის წინაშე მაღალი მოვალეობის გრძნობა, წავიდნენ სამუშაოდ უშუალოდ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ბრიგადებსა და ფერმებში, თავიანთი ცოდნა და გამოცდილება მოახმარონ ხალხს, სოფლის მეურნეობის მძლავრ აღმავლობას.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს სამრეწველო საწარმოთა მუშებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს, კონსტრუქტორებს, ხელმძღვანელებს, სახალხო მეურნეობის საბჭოების კოლეგიებს დაიჭარონ ახალი, უფრო სრულყოფილი მანქანების კონსტრუირება და გამოშვება მინდვრებისა და ფერმებისათვის, უფრო სწრაფად აამუშაონ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, მოწყობილობის, მინერალური სასუქებისა და საკვები მასალების წარმოების ახალი სიმძლავრეები, დროზე შესრულონ სოფლის მშრომელთა შეკვეთები.

გაზაფხული სულ უფრო მძლავრად იკიდებს ფეხს. მალე მთელი ფრონტით დაიწყება საგაზაფხულო თესვა. მის ორგანიზებულად ჩატარებაზე ბევრად არის დამოკიდებული შვიდწლედის მეოთხე წლის უხვი მოსავლისათვის ბრძოლის წარმატება. ამ გადამწყვეტ დღეებში პარტია განსაკუთრებით მიაქცევს სოფლის ყველა მშრომელის, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ყურადღებას საგაზაფხულო თესვის დროულად და მაღალხარისხოვნად ჩატარების საქმეს.

ეჭვი არ არის კომუნისტური აღმშენებლობის დიადი გეგმით შთაგონებული ყველა საბჭოთა ადამიანი არ დაიშურებს ძალღონესა და ენერგიას, ცოდნასა და გამოცდილებას იმისათვის, რომ საქმით, პრაქტიკული შრომით განახორციელოს ის დიდი მიზანდასახულობანი, რომელიც ასე გონივრულად განჭვრიტა ლენინურმა პარტიამ ხალხთა კეთილდღეობისათვის.

მებრძოლური მუშაობისათვის, ამხანაგებო! წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

აფხაზეთის საოლქო პარტიული აქტივის კრება

სოხუმი. (საკ. კორ.). გაიმართა აფხაზეთის საოლქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება, რომელსაც დაესწრნენ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნები, იდეოლოგიური ფრონტის მუშაკები, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები.

აქტივის კრება გახსნა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. მ. ბღაჟუბამ.

მოხსენებით „საერთაშორისო კომუნისტური პრობლემების შესახებ“ გამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ბ. ნ. პონომარიოვი.

პარტიული აქტივის კრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. დ. გ. სტურუამ.

ნაგომრელთა სიტყვა

მახარაძე. (საკ. კორ.). — ეცნობი პლენუმის მასალებს და გული ჩიხარულით გევსება, — განაცხადა საუბარში სოფელ ნაგომრის კოლმეურნეობა „საქართველოს“ თავმჯდომარემ შალვა სარიშვილმა. — ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში ნაჩვენებია გზები, თუ როგორ უნდა მართო მეურნეობა ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. იგი ერთხელ კიდევ ცხადყოფს პარტიის ყოველდღიურ ზრუნვას სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვისათვის, ხალხთა კეთილდღეობისათვის.

კოლმეურნეთა სახელით პირობას ვიძლევი მიმდინარე სეზონში მოვკრიფოთ 1.000 ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად 980 ტონისა. სიმინდის მთლიანი ნათესის თვითეულ ჰექტარზე მივიღებთ 50 ცენტნერ მარცვალს.

ზღუდეების ასაღებად

ჩვენმა კოლმეურნეობამ შარშან გადაჭარბებით შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა, ხოლო ჩაის ფოთლის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 5.310 კილოგრამს მიაღწია.

მაგრამ მიღწეული ზღვარი როდია. ჩვენი შესაძლებლობანი გაცილებით მეტია. გადაწყვეტილი გვაქვს წელს მოკრიფოთ და მრეწველობას მივცეთ 510 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, საშუალოდ ჰექტარზე მივიღოთ 5.450 კილოგრამი „მწვანე ოქრო“. წელს ქვეყანას მივცემთ 145 ტონა ციტრუსებს, რაც 45 ტონით აღემატება შარშანდელ გეგმას. ასევე გავზრდით სიმინდის ფართობს, საშუალოდ ჰექტარზე მოვიყვანთ 40 ცენტნერ მარცვალს, თვითეულ ძროხაზე მივიღებთ სულ მცირე 2.500 კილოგრამ რძეს.

სოფლის მშრომელები ყველაფერს გააკეთებენ პარტიის მიზანდასახულობათა განხორციელებისათვის.

ხ. ყურშუბაძე,
ქობულეთის რაიონის სოფელ ჩაისუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ნაგომრელთა სიტყვა

მახარაძე. (საკ. კორ.). — ეცნობი პლენუმის მასალებს და გული ჩიხარულით გევსება, — განაცხადა საუბარში სოფელ ნაგომრის კოლმეურნეობა „საქართველოს“ თავმჯდომარემ შალვა სარიშვილმა. — ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში ნაჩვენებია გზები, თუ როგორ უნდა მართო მეურნეობა ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. იგი ერთხელ კიდევ ცხადყოფს პარტიის ყოველდღიურ ზრუნვას სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვისათვის, ხალხთა კეთილდღეობისათვის.

კოლმეურნეთა სახელით პირობას ვიძლევი მიმდინარე სეზონში მოვკრიფოთ 1.000 ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად 980 ტონისა. სიმინდის მთლიანი ნათესის თვითეულ ჰექტარზე მივიღებთ 50 ცენტნერ მარცვალს.

ერთი სოფლის წვლილი

ბათუმის რაიონის სოფელ წინსვლის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მ. აბაშიძემ თქვა:

— სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა და პლენუმის მასალები, ერთხელ კიდევ ცხადყოფენ, თუ როგორ ზრუნავს პარტია ხალხის ცხოვრების დონის გაუმჯობესებისათვის. ჩვენი კოლმეურნეობა ერთ-ერთი მოწინავე, მრავალდარგოვანი მეურნეობაა ბათუმის რაიონში. როგორც ყოველთვის, გასული წელიც კარგი წარმატებებით დავამთავრეთ. გადაჭარბებით შეავსრულეთ ჩაის ფოთლის, ციტრუსების ნაყოფის წარმოების დავალებები. მაგრამ ვერ შეგასრულეთ მეცხოველეობის პროდუქტიულობის გეგმა. აღნიშნული ნაკლოვანება წელს უკვე აღმოფხვრილია.

ახლა ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ თვითეული ძროხის საშუალო წველადობა აკიყვანოთ 3.200 კილოგრამამდე, რაც ორასი კილოგრამით მეტია გეგმით გათვალისწინებულზე. ასევე გავადიდებთ ჩაის ფოთლის წარმოებას. სახელმწიფოს მივყიდით 484 ტონა ჩაის ფოთოლს — 25 ტონით მეტს, ვიდრე გეგმა ითვალისწინებს.

კოლმეურნეობის ჩაის პლანტაციებსა და ციტრუსოვანთა ბაღებში დიდი ხანია დამთავრდა საზამთრო სამუშაოები: გადაბარვა, სასუქის შეტანა, სარეწაყო არხების გაყვანა; შეეკეთეთ საალანტაციო გზები, ფარდულები. ამჟამად მიმდინარეობს ჩაის ბუჩქების გასხვლა-გაფორმება, ნიადაგის მომზადება ახალი პლანტაციის გასაშენებლად.

იქნება მეტი პროდუქტები

საჩხერე. (საკ. კორ.). სოფელ სხვიტორის აკ. წერეთლის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა ა. ყიფიანმა, რომლის ბრიგადა კომუნისტური შრომის სახელის მოპოვებისათვის იბრძვის, განაცხადა:

— ჩვენი პარტია განუწყვეტლად ზრუნავს სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის. მარტის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებებში მოცემულია პროდუქტების სიუხვის შექმნის გზები და რეზერვები. ამის საპასუხოდ გკისრულობ, რომ ჩვენ ბრიგადა წელს საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანს 90 ცენტნერ სიმინდს, ხოლო ვენახის ყოველ ჰექტარზე 80 ცენტნერ ყურძენს.

საჩხერის საცდელ-საჩვენებელი საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეობის ფერმის წარჩინებულმა მწველავმა ლ. საღუნიშვილმა პლენუმის მასალების გაცნობისას თქვა:

— სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა ახალი შრომითი მამაცობისაკენ მოგვიწოდებს. შარშან 15 ძროხას ვუვლიდი და თვითეულზე 2.500 კილოგრამი რძე მივიღე. წელს 17 ძროხას ვუვლი და თვითეულზე 3.000 კილოგრამ რძეს მივიღებ.

ქასპის რაიონის სოფელ ქვემოჯალის კოლმეურნეობაში 151 ჰექტარი ხეხილის ბაღებს უკავია. შარშან აქ მსხმოიარე ბაღების თვითეულ ჰექტარზე კოლმეურნეებმა საშუალოდ 60 ცენტნერი ვაშლი, მსხალი, ბალი და ატამი მიიღეს, ზოგიერთ ნაკვეთებზე კი 82 ცენტნერიც. შვიდწლედის დავალებით არტელს უნდა გაეშენებია 80 ჰექტარი ახალი ბაღი. შვიდწლედის ეს დავალება კოლმეურნეობის მებაღეებმა ვადამდე შეასრულეს. ახლა ბაღებში წარმოების მწკრივთაშორისების გადახვნა და ხეების მკურნალობა.



სურათზე (ზევით): ბაღების მკურნალობა ქასპის რაიონის სოფელ ქვემოჯალის კოლმეურნეობაში.

ქობულეთის რაიონის მარჭვის სახელობის კოლმეურნეობაში გაცხოველებით წარმოებს ჩაის ბუჩქების მექანიზებული გასხვლა. სულ ამ წესით დამუშავდება 110 ჰექტარი პლანტაცია. წელს მეჩაიეებმა ვალდებულება იკისრეს ნაცვლად 980 ტონისა მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩაბარონ 410 ტონა „მწვანე ოქრო“.

სურათზე (ქვევით): ჩაის პლანტაციების მექანიზებული კულტივაცია ქობულეთის რაიონის მარჭვის სახელობის კოლმეურნეობაში.

ფოტო ს. ონანოვისა, ვ. სტოლიაროვისა და ი. ნანიკაშვილისა.
(საქდესის ფოტოქრონიკა).

ყვარლის რაიონის სოფელ შილდის კუბიშევის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა პირობა დადეს 430 ჰექტარი სიმინდის ნათესიდან საშუალოდ ჰექტარზე მიიღონ 60 ცენტნერი მარცვალი. ბრიგადირმა მ. გურაბანიძემ ვალდებულება იკისრა 50 ჰექტარი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე უზრუნველყოს 85 ცენტნერი სიმინდის მოღება.

კოლმეურნეობებმა უკვე დაამთავრეს ბარდის თესვა 50 ჰექტარზე. დიდი სამუშაოები მიმდინარეობს ვენახებში.

ნამატი მთლიანად შენარჩუნებულია

დმანისი. (საკ. კორ.). რაიონში მასობრივად დაიწყო დოლი. ახლა მთავარია მისი მთლიანი შენარჩუნება. სოფელ ჯავახის XVII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობაში 900 დედაცხვარი ჰყავთ. დღეისათვის დადოლებულია 800-ზე მეტი. ნამატი მთლიანად შენარჩუნებულია. ეს იმან განაპირობა, რომ კარგად კვებავენ დედაცხვარს.

გასულ წლებში კოლმეურნეობაში წესად ჰქონდათ ცხვარში დოლის დაწყების დროს მწყემსების დამატებით გამოყოფა. ეს პრაქტიკა წელს უკუაგდეს. ზედმეტიაო — თქვეს ძმებმა მამედ და მაჰრამ მაკოევებმა. ძალა გვაკლია თუ გამოცდილებაო. ამ საქმეს ჩვენც გავუძღვებითო. 460 დედაცხვარს, რომელიც მათ აბარიათ, შესანიშნავად უვლიან, აჭმევენ თივასა და კომბინირებულ საკვებს, გარდა ამისა ბატკნები ღამით 2-3-ჯერ გამოჰყავთ გარეთ, სუფთა ჰაერზე. საბატკნე ყოველთვის განათებული აქვთ. აქვე რამდენიმე რიგად გაბმულია თოკი, რომელზეც პატარ-პატარა შეკრულებად ჰკიდია თივა მოზრდილი ბატკნების საჭმელად.

ასეთი მოვლა - პატრონობით მთლიანად ინარჩუნებენ ნამატს ჯავახელი მეცხვარეები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელ საათს

სსრკ მშვიდობის დაცვის კომიტეტში

მოწვეულია საბჭოთა საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა კონფერენცია საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობისათვის

საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება იმის შესახებ, რომ 29-30 მაისს მოსკოვში გაიმართოს საბჭოთა საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელზეც გათვალისწინებულია განიხილონ მშვიდობისათვის, საყოველთაო განიარაღებისათვის საბჭოთა ხალხის ბრძოლის საკითხები.

კონფერენცია აირჩევს საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტს, დელეგაციას საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობის მსოფლიო კონგრესზე და შეიმუშავებს განაწესს კონგრესის საბჭოთა დელეგატებისათვის.

მაისსნა 18 სასელმწიფოს განიარაღების კომიტეტის ჟენევის თათბირი

ჟენევა, 14 მარტი. საქდესის სპეციალური კორესპონდენტი ა. კისლოვი იუწყება:

დღეს აქ, ერების სასახლეში, 16 საათზე ადგილობრივი დროით (18 საათზე მოსკოვის დროით) მუშაობა დაიწყო 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტმა, რომელიც შექმნილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XVI სესიის გადწყვეტილების საფუძველზე.

საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში

ქალაქ ჭიათურის მშრომელთა სავაჭრო მომსახურების მდგომარეობის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა საკითხი და მიიღო დადგენილება ქალაქ ჭიათურის მშრომელთა სავაჭრო მომსახურების მდგომარეობის შესახებ.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტი და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი საკმაოდ ენერგიულ ღონისძიებებს არ იღებენ ვაჭრობის განვითარებაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. საქონელბრუნვისა და მოსახლეობის ყოველდღიური მოთხოვნილების საქონლით უზრუნველყოფის გეგმები არ სრულდება. 1961 წელს ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მუშათა მომარაგების განყოფილებამ, საქვაჭრობის განყოფილებამ და რაისამომხმარებლო კავშირმა მოსახლეობას დაიკლეს 1.500 ათასი მანეთის სამრეწველო და სასურსათო საქონელი. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით საკომისიო ვაჭრობის საქონლბრუნვა 1960 წელთან შედარებით შემცირდა.

ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მუშათა მომარაგების განყოფილებაში (უფროსი ამხ. **ლომიძე**), საქვაჭრობის განყოფილებაში (მმართველი ამხ. **ზაბახიძე**) და რაისამომხმარებლო კავშირში (თავმჯდომარე ამხ. **ვაშაძე**) შეეჩვევნენ არსებულ ნაკლოვანებებს და არ იღებენ ღონისძიებებს პირველი საჭიროების საქონლით შეუფერხებელი ვაჭრობის ორგანიზაციისათვის. დაბალია სავაჭრო მომსახურების კულტურა, აღმოფხვრილი არ არის მომხმარებელთა მოტყუების სამარცხვინო ფაქტები, ორგანიზებული არ არის სპეციალიზებული ვაჭრობა სამრეწველო და სასურსათო საქონლით.

სერიოზული ნაკლოვანებებია საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობაში, განსაკუთრებით სახვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის ხაზით. სუსტად სრულდება სასადილოების მუშაობაში ნახევარფაბრიკატების გამოყენების დავალება, გახსნილი არ არის ნახევარფაბრიკატების მაღაზია.

პარტიული ორგანიზაციები და პროფკავშირთა ადგილობრივი კომიტეტები არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ ვაჭრობის მუშაკთა აღზრდაზე, ჯეროვან პრინციპულობას არ იჩენენ კადრების შერჩევისა და განაწილების დროს. სავაჭრო ქსელში მატერიალურად პასუხსაგებ და ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობენ მცირემცოდნე და არაკვალიფიციური ადამიანები, რომლებიც ვერ ერკვევიან ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ელემენტარულ საკითხებში. მაგალითად, საქვაჭრობის განყოფილების 38 მაღაზიასა და კიოსკში გამგეებად მუშაობს დაბალი განათლების მქონე 11 კაცი და დაუმთავრებელი საშუალო განათლების მქონე 10 კაცი. არ სრულდება დავალება ქალთა მიზნებისა სავაჭრო საწარმოებში სამუშაოდ. დიდია კადრების დენადობა.

ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ ჭიათურის მშრომელთა სავაჭრო მომსახურების არსებითი ნაკლოვანებანი მნიშვნელოვანწილად აიხსნება იმით, რომ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მუშათა მომარაგების სამმართველო, საქვაჭრობა და ცეკავშირის გამგეობა ქმედითს დახმარებას არ უწევენ ქალაქ ჭიათურის სავაჭრო ორგანიზაციებს.

საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა ქალაქ ჭიათურის პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და სავაჭრო ორგანიზაციებს სკკპ XXII ყრილობისა და საქართველოს კპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე უზრუნველყონ ვაჭრობის შემდგომი გაშლა და სასურსათო და სამრეწველო საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება, უმოკლეს ვადაში აღმოფხვრან აღნიშნული ნაკლოვანებანი, დასახონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი ვაჭრობის მუშაკებს შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გასაძლიერებლად და განმტკიცონ სავაჭრო ორგანიზაციები და საწარმოები სპეციალისტთა კადრებით, კომუნისტებითა და კომკავშირელებით.

სოციალისტური შეჯიბრების გაშლის საფუძველზე საჭიროა ძირეულად გაუმჯობესდეს მშრომელთა სავაჭრო მომსახურება, ფართოდ დაინერგოს ვაჭრობის პროგრესული მეთოდები, მკვეთრად გაუმჯობესდეს ყველა სავაჭრო ორგანიზაციის სამეურნეო-ფინანსური საქმიანობა და გაძლიერდეს საკონტროლო-სარევიზიო მუშაობა გაფლანგვა-დატაცების და საბჭოთა ვაჭრობის წესების დარღვევის თავიდან ასაცილებლად.

ცენტრალურმა კომიტეტმა მიზანშეწონილად მიიჩნია გაუქმდეს საქვაჭრობის ჭიათურის განყოფილება და დაეკისროს ქალაქის მოსახლეობის სავაჭრო მომსახურება ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მუშათა მომარაგების განყოფილებას.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს წინადადება მიეცა გაადიდოს ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მუშათა მომარაგების განყოფილების საქონლით უზრუნველყოფის გეგმა და დაიწესოს კონტროლი რესპუბლიკის საბითუმო ბაზების მიერ ქ. ჭიათურის სავაჭრო ორგანიზაციების შეუფერხებელი მომარაგებისადმი. მოეწყოს საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვებისათვის კადრების მოსამზადებელი და გადასამზადებელი მოკლევადიანი კურსები.

ცეკავშირის გამგეობას დაეკალა განახორციელოს 1962 წელს სასოფლო მაღაზიების მშენებლობა სოფლებში შუქრუთსა, ცხრუკეთსა და ზოდში, ხოლო 1963 წელს — სოფლებში ბიღასა, გეზრულსა და რიხლიკში; ათშენოს პუერსაცხობები სოფლებში წასრსა და ზოდში; გაადიდოს ჭიათურის რაიონის საქონლით უზრუნველყოფის გეგმა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს საშენი მასალებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის მხრივ სოფლის მოსახლეობის საჭიროების დაკმაყოფილებას; გაძლიეროს სხვა რაიონებიდან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ნამეტის შემოტანა ქ. ჭიათურის მშრომელთა მოსამარაგებლად.

ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მუშათა მომარაგების სამმართველოს მიერ ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მუშათა მომარაგების განყოფილების არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობა და დაავალა მუშათა მომარაგების სამმართველოს გაძლიეროს დახმარება და კონტროლი ჭიათურის მუშათა მომარაგების განყოფილების მუშაობისადმი, უზრუნველყოს სავაჭრო ქსელის შემდგომი განვითარება და დაამთავროს მისი სპეციალიზაცია 1962 წელს.

ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს მოაწყოს ქ. ჭიათურაში 1962 წელს საკონდიტრო ნაწარმის წარმოება, ხოლო 1963 წელს გაითვალისწინოს ქალაქში უალკოჰოლო სასმელების საწარმოს მშენებლობა.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს წინადადება მიეცა ერთი თვის ვადაში შეისწავლოს და გადაწყვიტოს ქ. ჭიათურის სავაჭრო ქსელში პუერის ცენტრალიზებული შეტანის მოწყობის საკითხი; უზრუნველყოს სავაჭრო საწარმოთა მშენებლობა საბინაო მშენებლობისათვის გამოყოფილ კაპიტალურ დაბნდებათა ხუთი პროცენტის ფარგლებში.

სავაჭრო ორგანიზაციებისადმი კონტროლსა და დახმარების გასაუმჯობესებლად ცენტრალურმა კომიტეტმა რჩევა მისცა პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტს შექმნას საქალაქო კომიტეტთან ვაჭრობის შტატგარეშე განყოფილება. საქალაქო კომიტეტს წინადადება მიეცა მიიღოს ღონისძიებანი იმ პირთა მიმართ, ვისაც კონკრეტულად მიუძღვის ბრალი სავაჭრო ქსელის მუშობაში გამოვლენილ ნაკლოვანებებში.

დღეს, 15 მარტს იხსნება საქართველოს არქიტექტორთა მეექვსე ყრილობა

სურათზე: საქართველოს არქიტექტორთა მეექვსე ყრილობის დელეგატთა ჯგუფი (მარცხნიდან მარჯვნივ) პირველ რიგში — უ. ბაქრაძე, ბ. ლორთქიფანიძე, ა. ქურდიანი, მ. ლორთქიფანიძე; მეორე რიგში — ი. ცეციშვილი, გ. ლეონავა, ვ. ბერიძე, ვ. მესხიშვილი, ფ. კვირკველია; მესამე რიგში — (დგანან) ა. რევაზიშვილი, ს. კინწურაშვილი, თ. თათაროვა, ნ. ჯანბერიძე, ნ. ბოშიტაიშვილი, ლ. ხუმბაძე, მ. კაკაბაძე, ი. სართანია, გ. თოდაძე, თ. თევზაძე, შ. ყაკლაშვილი, ბ. მიმინოშვილი, ო. ლითანიშვილი.

ფოტო ჯ. გინზბურგისა.

ლ. ი. ბრეჟნევის შეხვედრა ამომრჩევლებთან

მოსკოვი, 14 მარტი. (საქდესი). დღეს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს.

სიტყვა მიეცა ნდობით აღჭურვილ პირს — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საავიაციო ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის წამყვან ინჟინერს ვ. ს. მოლოკანოვს.

ამხ. მოლოკანოვმა ილაპარაკა დეპუტატობის კანდიდატის ცხოვრებაზე და მოუწოდა ბაუმანის საარჩევნო ოლქის ყველა ამომრჩეველს — ხმა მისცენ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს.

კრებაზე გამოვიდნენ აგრეთვე ფაბრიკა „წითელი მკერავის“ მოტორისტი მკერავი ლ. ა. ხვატკოვა, მოსკოვის საინჟინრო-ფიზიკური ინსტიტუტის პროფესორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი დ. ნ. სკოროვი, № 312 სკოლის მასწავლებელი ს. მ. ოსტროუმოვა, მოსკოვის საინჟინრო-ეკონომიური ინსტიტუტის სტუდენტი ს. ბ. ბ

კომუნიზმის მზვერავი

ძნელია დაწერო კაცზე, რომელიც არასოდეს არ გინახავს, პარტიის მარნეულის რაიკომის მდივანმა შახნაზარ კასუმოვმა მითხრა ადრე აღმამედლოს კოლმეურნეობაში მუშაობდაო, ახლა ყარაღანის შერძეევობა-მემინდვრეობის საბჭოთა მეურნეობის მემინდვრეობის ბრიგადირიაო.

კი მაგრამ რამდენჯერ ვყოფილვარ აღმამედლოში. ასეთი ნდობა გამოუცხადეს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენეს და ნუთუ არ უნდა მახსოვდეს ვინ არის? ვფიქრობ ჩემთვის. მერე ისიც მითხრეს, რომ სოციალისტური შრომის გმირი არისო, მაშინათვე მომაგონდა 1958 წლის შემოდგომა, აღმამედლოს კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება და ამ კრებაზე ერთ-ერთი კომუნისტის კრიტიკული გამოსვლა.

— ჩვენს კოლმეურნეობაში ბევრი წარჩინებული ადამიანია, — თქვა მან, — მაგრამ პარტიიურო არადამაკმაყოფილებლად ეწევა მოწინავე გამოცდილების პროპაგანდას. მივიწყებულია უპარტიო აქტივთან მუშაობა.

შემდეგ კოლმეურნეობის გამგეობის საქმიანობას შეეხო და ძალზე სწორი და პრინციპული შენიშვნები გაიკეთა თავმჯდომარე ფაშა ბაგიროვის მიმართ.

— პირდაპირი კაცია, ხომ ხედავთ, რაც სათქმელია ძმასაც პირში ეუბნებაო — თქვეს კოლმეურნეებმა.

— დიახ, მე უკვე ვიცნობ კაცს, რომელზეც დავალებული მაქვს დაწერო. ის არის, ნამაზ-ოღლი ბაგიროვი, 1931 წელს დაბადებული, საშუალო განათლების მქონე, პარტიის წევრი 1951 წლიდან.

მ. ბაგიროვის ბიოგრაფია გამოკრულია საარჩევნო უბნის კედელზე. სხვა საინტერესო მონაცემებთან ერთად ავტობიოგრაფიიდან შევიტყეთ, რომ მ. ბაგიროვმა 1951 წელს, როცა ერთ-ერთ რგოლს ხელმძღვანელობდა, თამბაქოს უხვი მოსავალი მიიღო, რისთვისაც სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება მიენიჭა.

გადიოდა წლები, სოფლად ინერგებოდა ტექნიკა, იზრდებოდა მ. ბაგიროვიც. ის, რაც წინათ სარეკორდო მაჩვენებლად ითვლებოდა, ახლა ოდნავაც აღარ აკმაყოფილებს კომუნიზმის მზვერავს. ასეც არის. თუ მას გმირობა თვითეულ ჰექტარზე 26,8 ცენტნერი თამბაქოს მიღებისათვის მიანიჭეს, ამა ახლა რაღა ეკუთვნის, 41,5 ცენტნერი რომ მიიღო?

და მაღალ მოსავალს განა მარტო თამბაქოს კულტურაში იღებს? შარშან 8 ჰექტარი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე 50,5 ცენტნერი სიმინდი მიიღო, ხოლო ეფერ-ზეთოვანი კულტურების მოსავლიანობაშიც რეკორდი დაამყარა.

ესაუბრები მ. ბაგიროვს და თვალნათლივ ხედავ, რომ შენ წინ დგას

შრომისა და გარჯის ადამიანი, რომელიც მარტო თავისი საქმიანობით როდია შემოფარგლული. უთუოდ მოგეწონება მისი საუბარი ჩვენი ცხოვრების ამა თუ იმ საკითხზე. კარგად ერკვევა სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში. მასთან საუბარში პირველად გავიგე, რომ ყარაღანის მერძეევობა-მემინდვრეობის საბჭოთა მეურნეობა, სადაც იგი მემინდვრეობის ბრიგადირად მუშაობს, ერთ-ერთი რენტაბელური მეურნეობაა, რომელიც დიდძალ ფულად ეკონომიას აძლევს სახელმწიფოს. აქვე მან გვითხრა, რომ საბჭოთა მეურნეობა ახლა უფრო მეტ მოსავალს იღებს თვითეულ ჰექტარზე, ვიდრე ადრე კოლმეურნეობები იღებდნენ.

ბრიგადა, რომელსაც მ. ბაგიროვი ხელმძღვანელობს, 50 კაცისაგან შედგება. ბრიგადის თვითეული წევრი მონდომებით იბრძვის კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელის მოსახვეჭად.

— რას აკეთებთ ახლა? — ვეკითხები მ. ბაგიროვს.

— ახლა სკკპ მარტის პლენუმის ისტორიული დადგენილების შესაბამისად მთავარია კარგად გამოვიყენოთ გაზაფხულის თბილი ამინდები და ხარისხოვნად ჩავატაროთ საგაზაფხულო თესვა. ამისათვის მთლიანად მზად ვართ. ნიადაგში უკვე შევიტანეთ ორგანული სასუქი. განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ თამბაქოს ნერგის გამოყვანას. 10 აპრილიდან დავიწყებთ გადარგვას. ამავე პერიოდისათვის მოვახდენთ ეფერ-ზეთოვანი კულტურების ნერგების გადარგვასაც.

ბრიგადირი გვისახელებს მოწინავე ადამიანებს ა. აივაზოვს, გ. ჰასანოვს, მ. ბადალოვას და სხვებს და გვეუბნება, რომ ბრიგადის წარმატება მთელი კოლექტივის დაუღალავი შრომის შედეგია.

მომავლის მზვერავმა მიღწეულ წარმატებებზე რომ ილაპარაკა, ჯიბიდან პატარა წიგნაკი ამოიღო, რომელიც გვერდი გადაშალა და თქვა:

—ის, რაც გავაკეთეთ, ზღვარი როდია. მომავალში ჩვენ გათვალისწინებული გვაქვს უკეთესი მაჩვენებლების მიღწევა.

აი წლევანდელი ამოცანებიც:

ბრიგადაში 30 ჰექტარამდე ავიყვანოთ სიმინდის კულტურის ფართობი და თვითეულ ჰექტარზე მივიღოთ 70 ცენტნერი სიმინდი,

26 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მივიღოთ 45 ცენტნერი თამბაქო,

200 ცენტნერამდე ავიყვანოთ ეთერზეთოვანი კულტურების საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე.

დეპუტატობის კანდიდატს დავემშვიდობეთ. თავიდან დიდხანს არ მოგვცილებია ფიქრი იმაზე, თუ რაოდენ ფასდება შრომა ჩვენთან. სწორედ ასეთი ადამიანები უნდა იყვნენ არჩეულნი ხელისუფლების ორგანოებში.

ზ. მერკვილაძე.

• • •

სურათზე: მ. ბაგიროვი.

ქარხნის შუქურა



ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მდნობელს ლევან კობახიძეს ჯერ სიჭაბუკის წლებიც არ გაუნელია, მის ცხოვრებაში კი ბევრი სამახსოვრო ამბავი მოხდა.

ახლაც ახსოვს აცრემლებული დედის სიტყვები: შვილო, რა ჩაგიგარდა იმ ქარხანაში, გინდა ციცხლში გამოიწვა თვალები. ინჟინრობა ან ექიმობა ისწავლო, არ სჯობია. ლევანმა თავისი გაიტანა. მშობლებიც დაიყოლია. სახელოსნო სასწავლებელი დაამთავრა და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში დაიწყო მუშაობა.

— ლევანი აღსაზრდელად ჩემთან მოიყვანეს, — ამბობს ქარხნის ძველი მუშა, ოსტატი საბა კიკნაძე, — პირველ დღეებში ვერცხლს წყალივით მოუსვენრობდა. ქურასთან რომ გვეგულებოდა, ის ღუმელის ზედაპირთან იდგა, იქიდან კიდევ სად არ ყოფდა ცხვირს, მაგრამ მალე შესანიშნავი დამჯერი ბიჭი გახდა.

მან მალე აითვისა წამყვანი პროფესიები — მექურეობა, კაზმის მიმწოდებელ აპარატზე მუშაობა, ზეინკლობა და ათ წელზე მეტია სახელოვნად უძღვება მდნობელთა ბრიგადას.

შვიდი ვაჟკაცი ჰყავს ლევან კობახიძეს ბრიგადაში, მერვე საპატიო წევრი იური გაგარინია, რომელიც ღუმელთან კაზმის მიმწოდებელთანაც დგას და მექურეებთანაც.

რვანი არიან და ცხრა კაცის ნორმას ასრულებენ. იცის ლევანმა, რა უხარია და რა სწყინს მის საუკეთესო მეაპარატეს დიმიტრი ხარატიშვილს, მეაპარატის თანაშემწეს ბექტორ კობახიძეს, კაზმის მიმწოდებლებს იუზა ბირიბიჩაძეს და გიორგი კიპაროიძეს, ან მექურეებს იაშა ყუფარაძეს, დავით მჭედლიძეს, კარლო გეგეშიძეს.

ახალგაზრდა ბრიგადირმა ლევან კობახიძემ საამქროს საწარმოო თათბირზე თავი გამოიდო — სამშობლო ზეგეგმით პროდუქციას მოითხოვს და ჩვენ უნდა მივცეთო.

— კი, მაგრამ საღ არის რეზერვი? — ჰკითხეს ბრიგადირს.

— არის, — თქვა ლევან კობახიძემ და წამოაყენა წინადადება ღუმელის სიმძლავრის გადიდების შესახებ. ეს არც ისე ადვილი საქმეა. იგი ღუმელის მონტაჟისა და ტრანსფორმატორის შეცვლას მოითხოვდა.

შიშობდნენ ზოგიერთები, ეგონათ ღუმელის სიმძლავრის გადიდება ელექტროენერგიის გადახარჯვას გამოიწვევდა. ლევან კობახიძეს მხარი დაუჭირეს მისმა მასწავლებლებმა, სოციალისტური შრომის გმირმა ბაგრატ მელქაძემ და გრიგოლ დიაკონიძემ, ქარხნის მთავარმა ინჟინერმა გიორგი სიორიძემ და სხვებმა. ეს ტექნიკური საიაღლე ჯერ ლევან კობახიძის ღუმელზე გამოიცადა და დაინერგა, მერე კი მთელ საამქროს მოედო. დნობამ ჩვეულებრივზე ჯერ ორასი, ხოლო შემდეგ სამასი კილოგრამით გადაჭარბა. ამა წარმოიდგინეთ რამდენი დნობაა ცალში, დღე-ღამეში, კვირაში, და პროდუქციის რა სიუხვე უნდა მოგვცეს ლევან კობახიძის თაოსნობამ.

ასე გახდა ლევან კობახიძე ქარხნის შუქურა. შარშან ბრიგადამ, რომელსაც ის ხელმძღვანელობს, ნაკისრი ვალდებულება გადაჭარბებით გაანაღდა და ასეულ ტონობით ზეგეგმითი პროდუქცია მისცა სამშობლოს ბრიგადას კომუნისტური შრომის საპატიო წოდება მიენიჭა.

მეგობრების სიხარულს კიდევ ახალი დაემატა. ლევან კობახიძე ჯერ საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობის, ხოლო შემდეგ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის დელეგატად აირჩიეს. დაუვიწყარი იყო ბრიგადირის გაცილება მოსკოვში.

ლევან კობახიძე მოსკოვში ყრილობის მუშაობის პერიოდში კრემლში შეხვდა იური გაგარინს და მოუთხრო როგორ მუშაობს ბრიგადა, რომლის საპატიო წევრია სახელოვანი კოსმონავტი.

ყრილობაზე შესვენების დროს, ლევანს საქართველოდან გამოგზავნილი დეპეშა გადასცეს.

— პარტიის XXII ყრილობის დელეგატს ლევან კობახიძეს. ჩვენი ბრიგადა XXII ყრილობის აღსანიშნავ მრომთის ბახტზე დადგა და სამშობლოს ყოველდღე აძლევს ზეგეგმითს პროდუქციას, — უპატაკებდნენ კრემლში წარგზავნილ თანამოსაქმეს ბრიგადის წევრები.

ლევან კობახიძე დაიბადა სოფელ არგვეთაში 1929 წელს. აქედან რამდენიმე კილომეტრზეა ფეროშენადნობთა ქარხანა. ამ ქარხანაში გაიზარდა და დავაჟკაცდა იგი. აქ მიიღეს იგი პარტიის რიგებში.



6 თებერვალს ქარხნის კლუბში ტევა არ იყო. აქ მოვიდნენ მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები და მოსამსახურეები, რომ განეხილა ლევან კობახიძე ჯერ საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობის, ხოლო შემდეგ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის დელეგატად აირჩიეს. დაუვიწყარი იყო ბრიგადირის გაცილება მოსკოვში.

ლევან კობახიძე მოსკოვში ყრილობის მუშაობის პერიოდში კრემლში შეხვდა იური გაგარინს და მოუთხრო როგორ მუშაობს ბრიგადა, რომლის საპატიო წევრია სახელოვანი კოსმონავტი.

ყრილობაზე შესვენების დროს, ლევანს საქართველოდან გამოგზავნილი დეპეშა გადასცეს.

— პარტიის XXII ყრილობის დელეგატს ლევან კობახიძეს. ჩვენი ბრიგადა XXII ყრილობის აღსანიშნავ მრომთის ბახტზე დადგა და სამშობლოს ყოველდღე აძლევს ზეგეგმითს პროდუქციას, — უპატაკებდნენ კრემლში წარგზავნილ თანამოსაქმეს ბრიგადის წევრები.

ლევან კობახიძე დაიბადა სოფელ არგვეთაში 1929 წელს. აქედან რამდენიმე კილომეტრზეა ფეროშენადნობთა ქარხანა. ამ ქარხანაში გაიზარდა და დავაჟკაცდა იგი. აქ მიიღეს იგი პარტიის რიგებში.

6 თებერვალს ქარხნის კლუბში ტევა არ იყო. აქ მოვიდნენ მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები და მოსამსახურეები, რომ განეხილა ლევან კობახიძე ჯერ საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობის, ხოლო შემდეგ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის დელეგატად აირჩიეს. დაუვიწყარი იყო ბრიგადირის გაცილება მოსკოვში.

ლევან კობახიძე მოსკოვში ყრილობის მუშაობის პერიოდში კრემლში შეხვდა იური გაგარინს და მოუთხრო როგორ მუშაობს ბრიგადა, რომლის საპატიო წევრია სახელოვანი კოსმონავტი.

ყრილობაზე შესვენების დროს, ლევანს საქართველოდან გამოგზავნილი დეპეშა გადასცეს.

— პარტიის XXII ყრილობის დელეგატს ლევან კობახიძეს. ჩვენი ბრიგადა XXII ყრილობის აღსანიშნავ მრომთის ბახტზე დადგა და სამშობლოს ყოველდღე აძლევს ზეგეგმითს პროდუქციას, — უპატაკებდნენ კრემლში წარგზავნილ თანამოსაქმეს ბრიგადის წევრები.

ლევან კობახიძე დაიბადა სოფელ არგვეთაში 1929 წელს. აქედან რამდენიმე კილომეტრზეა ფეროშენადნობთა ქარხანა. ამ ქარხანაში გაიზარდა და დავაჟკაცდა იგი. აქ მიიღეს იგი პარტიის რიგებში.

თოგრიოელი ქალიშვილი

ჯერ ისევ თოვლის საბურველშია გახვეული ჯავახეთის ზეგანი. დროდადრო სუსხიანი ქარი დაბერავს და ამ ადგილის ყინულოვან მთას თეთრ სამოსელს უშეწს, ახალქალაქის რაიონში დიდი ზამთარი ჩვეულებრივია. ამიტომ აქაური მეცხოველეები ნირშეუცვლელად განაგრძობენ შემოქმედებით შრომას.

საქართველოში არსად ისეთი ყურადღება არ სჩირდება საქონლის გამოზამთრებას, რამდენიც ამ მხარეში.

მარხილი ძლივს მიიკლეკავს გზას თოვლის ნამქერში. შორიდანვე მოჩანს საბურავებამდე დათოვლილი ფერმის ფანჯრები. შუადღისას სოფელ თორიოს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმას მივაღწიეთ. ფერმის გარშემო ვეებერთელა თეთრი გორები შევნიშნეთ. — ეს თივისა და ნამჯის ზვინებია, თოვლით დაფარული, — გვეუბნება ფერმის მუშაკი და წითელ კუთხეში მიგვიძღვება.

წითელ კუთხეში ახალი ჟურნალ-გაზეთებია, ქადრაკი, დომინო. რადიომიმღები ახალ ამბებს გადმოსცემს, იქვეა ტელევიზორიც.

— თბილისის ტელეგადაცემებს ვნახულობთო, — გვითხრეს ფერმის ახალგაზრდა მუშაკებმა.

ჩარხოში კედლის გაზეთის ახალი ნომერია. მასში თორიოელ მეცხოველეთა ვალდებულებანია გამოქვეყნებული, ეს ვალდებულებები მათ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახვედრად აიღეს,

პირუტყვის სადგომს ვათვალიერებთ. ირგვლივ სისუფთავეა, მოვლილი ძროხები კარგად გამოიყურებიან, ნებივრად იცოხნებიან. სამშობიარო განყოფილება და სახბორე ცალკეა. აქ ერთი თეთრხალათიანი გოგონა ფუსფუსებდა. შევჩერდით:

— გამარჯობა!

— გამარჯობათ! — იყო პასუხი.

— ემა არსენის ასული პეტროსიანი, — გაგვაცნეს გოგონა.

ემამ რვა კლასი რომ დაამთავრა, — გვესაუბრება პარტიიურის მდივანი, — გადაწყვიტა საწარმოო სტაჟი ფერმაში მიეღო და შემდეგ შეეძინა ზოოტექნიკური განათლება.

ძროხის მოვლა და წველა ემასათვის უცხო არ იყო, სახლში ხშირად ცვლიდა დედას, მაგრამ როცა 10 ძროხა მიანდეს მოსავლელად, ცოტა გაუჭირდა და შემინდა კიდეც პირველ ხანებში. ეს იყო ამ ოთხოიოდე წლის წინათ. მაგრამ სიბეჯითემ და დაინტერესებამ ნაყოფი გამოიღო. სიძნელეები დაძლია და მალე მოწინავეებს გაუტოლდა ეს ახალგაზრდა მწველავი. გასულ წელს 10 ძროხაზე 11 ხბო გაზარდა. თვითეულ ძროხაზე 2.650 კილოგრამი რძე მიიღო. ეს დიდი ნაბიჯი იყო წინ, — გეგმა გაცილებით ნაკლებს — მხოლოდ 1.800 კილოგრამს ითვალისწინებდა.

— მიღწევებმა არ გაგათამამოს, წინ ახალი ზღუდეებია, წარმატებებს ზღვარი არა აქვს, — თავის თავს მისცა რჩევა ემამ და შვიდწლედის მეოთხე წლის დასაწყისიდანვე ახალი ვალდებულების შესრულება იკისრა. თვითეულ ძროხაზე სულ მცირე 3.000 კილოგრამი რძე! — ასეთია მისი პირობა.

შრომითმა საქმიანობამ გაალამაზა ემას ცხოვრება, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომამ დიდების შარავანდედით შემოსა თორიოელი რიგითი ქალიშვილი, რომელსაც ეს-ეს არის ოცდათხი წელი შეუსრულდა.

დიდი ნდობა გამოუცხადეს ემას ახალციხისა და ახალქალაქის რაიონების ამომრჩევლებმა: უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს.

რიგითი თორიოელი მწველავი ქალიშვილი საბჭოთა პარლამენტის წევრობის კანდიდატი! რა საამაყოდ ეღერს ეს სიტყვები.

...თოვლის სამოსელშია გახვეული მდიდარი ალპური საძოვრებით განთქმული ჯავახეთის ზეგანი, მაგრამ უკვე გაზაფხული დადგა და მალე გაკრთვება თოვლი. ახალი საგმირო საქმეებისათვის ემზადებიან ემა პეტროსიანი და მისი თანამოსაქმეები.

ნ. ფარჯანაძე.

სურათზე: ემა პეტროსიანი.

ტალალაევკელ მეგობრებთან

ზუგდიდი. (საკ. კორ.). მეოთხედი საუკუნის მეგობრობა აკავშირებთ უკრაინის სსრ სუმის ოლქის ტალალაევკის რაიონისა და ზუგდიდის რაიონის მშრომელებს. 25 წლის წინათ ორივე რაიონის კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა გაარჩიეს სოციალისტური შეჯიბრება სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავლის მიღებისათვის, პირუტყვის სულადობისა და მისი პროდუქტიულობის მკვეთრად გადიდებისათვის. შეჯიბრებამ შესანიშნავი შედეგები მოუტანა ორივე რაიონის მშრომელებს.

ამ დღეებში ზუგდიდელ მშრომელთა დელეგაცია გაემგზავრა ტალალაევკაში. დელეგაციას ხელმძღვანელობს პარტიის ზუგდიდის რაიკომის მეორე მდივანი ამხ. ო. ფაცაცია. დელეგაციის შემადგენლობაში არიან კორეხეთის კომუნიზმის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. თორდია, ინგირის კოლმეურნეობის თავმჯდომარე თ. ლოლუა, რუხის სხულუხიის სახელობისა და ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობების ცნობილი მეჩაიეები ცინე ჭაჭუა და თინა ჯოჯუა, რაიონულ გაზეთ „მებრძოლის“ რედაქტორის მოადგილე აკ. ჭანტურია და სხვ.

ზუგდიდელებს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული უკრაინელი მეგობრებისათვის მიაქვთ სამახსოვრო საჩუქრები.

დელეგაციის წევრები რამდენიმე დღეს დარჩებიან მოძმე უკრაინელებთან, გააფორმებენ შვიდწლედის მეოთხე წლის შეჯიბრების ხელშეკრულებას.

„კომუნისტის“ რეიდი

ტირიფონის არხის ორივე მხარეს გადაშლილია ცხინვალის რაიონის სოფელ არცევის მაიაკოვსკის სახელობის კოლმეურნეობის მინდვრები.

თბილი ამინდები იდგა წელს იანვარსა და თებერვალში. ამით ისარგებლეს კოლმეურნეობის წევრებმა და საგულდაგულოდ შეაკეთებული ტრაქტორები, სათესები მინდვრად გაიყვანეს. მოკლე დროში 80 ჰექტარზე დათესეს გაზაფხულის ხორბალი, თოლეიც ჩამოყარა და ახლად აბიბინებული ჯეჯილი მოაოინერა. 20 ჰექტარზე დათესეს ძვირფასი კულტურა — ბარდა. საგაზაფხულო სამუშაოების დაწყებას არცევის კოლმეურნეობა მოშზადებული შეხვდა. ჩაყრილი და კონდიციამდე აყვანილია თესლი, შეკეთებულია ტექნიკა, მოომარაგეს სასუქები.

კარგად მოემზადნენ საგაზაფხულო სამუშაოებისათვის სოფელ ზონკარის კოლმეურნეობა და ერედვის საცდელ-საჩვენებელი საბჭოთა მეურნეობა. ერედვის საბჭოთა მეურნეობაში ზამთრის თვეებში შეკეთდა ტექნიკა, აქვთ თესლი, რამდენიმე ათეული ჰექტარიც დათესეს. საქმე უკეთ მიდის ქსუთის კოლმეურნეობაშიც, სადაც ახლახან კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოფლის მეურნეობის წარჩინებული მუშაკი ისონ ქრისტესიაშვილი.

მაგრამ ახლა გადავხედოთ რაიონის სხვა კოლმეურნეობებს.

ძნელი როდია დავრწმუნდეთ, რომ ცხინვალის რაიონში საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მზადებაში დიდი ხარვეზებია.

... სოფელი ბელოთი. იგი მდებარეობს პატარა ლიახვის ვიწრო ხეობაში. აქ ჩვეულებრივ ხანგრძლივი ზამთარი იცის. წელს კი ზამთრის დღეებში ამზე კაშკაშებდა, აცხუნებდა, შეიძლებოდა ხვნაც, თესვაც. მაგრამ ბელოთელებმა ხელსაყრელი ამინდი ვერ გამოიყენეს. კოლმეურნეობას ერთადერთი „დტ-54“ მარკის ტრაქტორი აქვს და ისიც უმოქმედოდ, სოფლის განაპირას არის მიტოვებული. ტრაქტორისტი არა ჰყავთ, არც ეძებენ. 140 ჰექტარი სახნავიდან მხოლოდ 30-40 ჰექტარი თუ აქვთ მოხნული. ბელოთი მთის სოფელია, ამიტომ მათ ხვნაზე გამწევი მუშა საქონელი დასჭირდებათ, მაგრამ პირუტყვი ცუდი კვების გამო დავარდნილია.

— მოვასწრებთ, გაზაფხულის დღე დიდია, — ასე უპასუხისმგებლოდ აცხადებს კოლმეურნეობის მეხვალეე თავმჯდომარე შ. ჩიფჩიური.

ბელოთის კოლმეურნეობა სხვა საქმეებშიც არ ბრწყინავს. ძროხების წველადობა უმნიშვნელოა, პირუტყვის დაცემის ფაქტებს აქვს ადგილი. ყველაფერი ეს იმის შედეგია, რომ კოლმეურნეობის გამგეობას, მის თავმჯდომარეს შ. ჩიფჩიურს საქმეზე ჯული არ შესტკივათ. თავმჯდომარე რაიონულ ცენტრში უფრო ხშირად იმყოფება, ვიდრე მინდვრებსა და ფერმებში.

საგაზაფხულო ხვნა-თესვის საქმეში უკეთესად არ გამოიყურება სოფელ ოტრევის კოლმეურნეობა. ამ სოფლის ერთ-ერთ ეზოში ენახეთ დაჟანგებული ტალახიანი და გაძარცული „დტ-54“ მარკის ტრაქტორი. ტრაქტორისტმა ფ. ბოჩიევმა განაცხადა, ტრაქტორი ჯერ არ შეუკეთებიათ, მაშინ შეაკეთებენ „როცა კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. ჩოჩიევი იტყვისო“.

ტექნიკა შეუკეთებელია, საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მზად არ არიან კიტრიულის, ბიყარის, სარაბუკისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობები.

ყველა კარგი მეურნე შესანიშნავად გამოიყენებდა ზამთრის თბილ, მზიან ამინდებს მინდვრად და ბაღ-ვენახებში ორგანული სასუქის გასატანად. ცხინვალის რაიონის სოფლებში, საკოლმეურნეო ფერმებთან უამრავი ნაკელი დგაროვდა. წვიმის დროს გავლაც კი შეუძლებელია. მაგრამ მისი გატანა შეუწყნარებლად ნელი ტემპით მიმდინარეობს. თებერვლის ბოლოსათვის ნაკელის გატანის დავალება ცხინვალის რაიონში მხოლოდ 30 პროცენტით იყო შესრულებული. ამ მხრივ ძალზე ცუდად მუშაობენ სოფლების სარაბუკის, ბიყარის, დისევის, გერის კოლმეურნეობები, სადაც ნაკელის გატანა ფაქტიურად არც დაწყებულა.

ახლა თესლის შესახებ. რამდენი თესლი სჭირდებათ და რამდენია საათეს კონდიციამდე აყვანილი? ამ კითხვით მივმართეთ რაისაბჭოს აღმასკომის სტატისტიკურ სამმართველოს. მაგრამ აი საკვირველება! აქ არა აქვთ ცნობები თესლის შესახებ. ახლაც გასული წლის ცნობებით სარგებლობენ. ბუნებრივად ისმება კითხვა — იციან თუ არა რაიონის ხელმძღვანელებმა თესლის მარაგის რაოდენობა კოლმეურნეობებში? თუ იციან, საიდან? ჩვენ კი შევიტყეთ, რომ ბევრ კოლმეურნეობას აკლია სიმინდის, კარტოფილის, ბოსტეულის, ლობიოს, გაზაფხულის ქერის თესლი.

ცხინვალის რაიონის კოლმეურნეობებში ვერ უთანხმდებიან იმ ამბავს, რომ მრავალწლიანი ბალახების ნაცვლად საჭირო გადიდდეს სათოხნი კულტურების ნათესი ფართობები. გასულ წელს სამ კოლმეურნეობაში — ბენდერში, ბაყარსა და ვიდლაში მრავალწლიანი ბალახები ერთად ეთესათ 20 ჰექტარზე. ახლა ეს კოლმეურნეობები გაერთიანდა. ნაცვლად იმისა, რომ აქ კარტოფილი მეტი თესონ, ამის პირობები კი მთის ამ სოფლებში საუკეთესოა, კვლავ ითვალისწინებენ მრავალწლიანი ბალახების ფართობების გადიდებას 41 ჰექტარამდე. ბელოთის კოლმეურნეობამ შარშან 5 ჰექტარი მრავალწლიანი ბალახი დათესა, ახლა 12 ჰექტარის დათესვას ითვალისწინებს.

— მიწა ჩამოირეცხა! — ასე ამბობენ ცხინვალის რაიონის ზოგიერთ სოფელში, სადაც არც თუ ისე ცოტა არიან მრავალწლიანი ბალახების თაყვანისმცემელნი. მაგრამ იმადება კითხვა, განა ცოტაა ადგილები, სადაც ძველთაგანვე კარტოფილს თესავდნენ და საუკეთესო მოსავალსაც იღებდნენ? დაიუმატოთ ისიც, რომ ბევრ კოლმეურნეობაში მრავალწლიანი ბალახები გადაბერდა, ხოლო მათი გადახვნა და ნიადაგის გამოყენება არ ხდება.

ცხინვალის რაიონის კოლმეურნეობებში საჭიროა გადაისინჯოს სათესი კულტურების განლაგება.

თ. ბაგაევი — პარტიის ცხინვალის რაიკომის ინსტრუქტორი; **ბ. ბებუშვილი** — „გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ რედაქციის მუშაკი; **შ. დათაშვილი** — აგრონომი; **ი. თედიაშვილი** — „კომუნისტის“ საკორესპონდენტი.

ჩვენი დღეების არქიტექტურა

ღღეს იხსნება საქართველოს არქიტექტორთა VI ყრილობა. დროის მცირე მონაკვეთი, რომელიც გვაშორებს წარსულ ყრილობას, ხასიათდება ჩვენი არქიტექტორების ნაყოფიერი მუშაობით და არქიტექტურის მამაოულების გარდაქმნასთან დაკავშირებული პრობლემების ახლებური გააზრებით.

ამ პერიოდში ბევრი რამ გაკეთდა ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში. თბილისში საგანგებოდ შერჩეულ თავისუფალ ტერიტორიებზე საბურთალოში, დიღომსა და ნავთლუღში ინტენსიურად ვითარდება საბინაო მშენებლობა. აქ პირველად ჩვენს რესპუბლიკაში გამოყენებულია განაშენიანების პროგრესული მიკრორაიონული პრინციპი, იქმნება მსხვილი საცხოვრებელი კვარტალები. მოკლე დროში საგრძნობლად გაუმჯობესდა მოსახლეობის საბინაო პირობები, ამასთანავე ამ რაიონების განაშენიანებამ დიდი როლი შეასრულა ქალაქმშენებლობის განვითარებაში. პრაქტიკით შემოწმდა დაგეგმარების ახალი ხერხები და საცხოვრებელი კვარტალების გაშენების პრინციპები.

უკანასკნელ პერიოდში გაშენებულია საბურთალოს ფართო მაგისტრალები — პავლოვის ქუჩა და ვაჟა-ფშაველას პროსპექტი, გაყვანილია მნიშვნელოვანი მაგისტრალები — მოსკოვის და აკაკი წერეთლის პროსპექტები, ოქტომბრის ქუჩა და თბილისის ორი ძირითადი საცხოვრებელი რაიონის — ვაკისა და საბურთალოს დამაკავშირებელი მწვანე მაგისტრალი. ქალაქის ცენტრი დამშვენდა მშვენიერი ვარაზისხევით. საფუძვლიანად იქნა რეკონსტრუირებული კ. მარქსის სახელობის ხიდი. მნიშვნელოვან ღონისძიებათა შორის აღსანიშნავია საბაგირო გზის გაყვანა რუსთაველის მოედნიდან კულტურისა და დასვენების პარკამდე მამა დავითის მთაზე, აგრეთვე საბურთალოსა და დიდუბეს შუა.

ქარაფები საბჭოთა არქიტექტურის გადახალისება ვლინდება როგორც ქალაქთმშენებლობასა და მასობრივ საბინაო მშენებლობაში, ისე საზოგადოებრივი შენობებისა და ცალკეული საცხოვრებელი სახლების არქიტექტურაში. საზეიმო და ყალბი შენობების ნაცვლად შენდება დანიშნულებისა და კონსტრუქციული სქემის შესატყვისი ცხადი, ხალისიანი ნაგებობანი. ამათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია სპორტის სასახლე, საცხოვრებელი სახლი სანაპიროზე, კინოთეატრი „გაზაფხული“, კაფე კიროვის პარკთან, კაფე „მეტრო“.

ყველა ეს ნაგებობა, ისევე როგორც მშენებლობის პროცესში მყოფი შენობები (სასტუმრო „ოლიხიდა“, სასტუმრო ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე და დამუშავებული პროექტები — სასტუმრო „ინტურისტი“, პანორამული კინოთეატრი „მოტო-ოტელი“, რესტორანი თბილისის ზღვაზე და მრავალი სხვა) მოწმობენ ქართველი არქიტექტორების გადასვლას ახალ პოზიციებზე. მიუხედავად ცალკეული ნაკლოვანებებისა. ჩამოთვლილ ნაწარმოებებში თვალსაჩინოა ისეთი პროგრესული ტენდენციები, როგორიც არის სიმართლე შენობის დანიშნულებასა და ტექტონიკის გამოვლენაში, მიზანშეწონილობა, სისადავე და თანამედროვეობა.

უკანასკნელ პერიოდში თბილისში დიდი ყურადღება მიექცა ქალაქის მხატვრულ გაფორმებას. ქალაქის ქუჩები გაიცოცხლეს ღია კაფეების, პავილიონების, კიოსკების ფერადოვანმა ლაქებმა. მაღაზიების მთლიანი შემინული ვიტრინების შექმნით რუსთაველის პროსპექტს დედაქალაქის შესაფერი ილერი მიეცა.

თბილისის 1500 წლეთან დაკავშირებით ქალაქის სამ შესასვლელთან აღიმართა ტრიუმფალური თაღი და ობელისკები. სამივე ძეგლის მკვეთრი, დასამახსოვრებელი ფორმები, ეროვნულ მოტივებზე შექმნილი ნახატების მშვენიერი შერწყმა არქიტექტურასთან მაღალი შეფასების ღირსია. ამგვარად მთავრდება 800 არაგველთა ობელისკი, რომლის გაბედული, ორიგინალური კომპოზიცია მაყურებელ ყღერადობას ანიჭებს გარემოს.

ჩვენი ამოცანაა მეცნიერულად განვსაზღვროთ კომუნისტური საზოგადოების რეალური სახე და ამის საფუძველზე დავაგეგმაროთ კომუნისტური ქალაქი. ყოველივე, რასაც ვაშენებთ და ავაშენებთ ახლო მომავალში, — მოემსახურება კომუნისტურ საზოგადოებას და უნდა დაკმაყოფილოს საზოგადოების მაღალი მოთხოვნილებანი.

ჩვენს წინაშე უზარმაზარი სამუშაოა. სამწუხაროდ, არა მარტო ძველი გაშენება, არამედ ახალი საცხოვრებელი რაიონები, რომლებიც დღეს შენდება ვერ უპასუხებენ მომავლის მოთხოვნილებებს. განმორციელებული რაიონები, მიუხედავად იმ დიდი როლისა, რომელიც მათ შეასრულეს, — მეტ

სახიფათო პოლიტიკა

ამერიკის პროპაგანდა ატომური კატასტროფის პრელუდიაა

ნიუ-იორკი, 14 მარტი. (საკდესის კორესპონდენტი გ. ვასილიევი იტყობინება: სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს პასუხმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოვალეობის აღმსრულებლის უ ტანის წერილზე იმის შესახებ, რომ მოწვეულ იქნეს საერთაშორისო კონფერენცია ატომური იარაღის გამოყენების აკრძალვისა და ატომური იარაღის შემდგომი გავრცელების თავიდან აცილების საკითხებზე, — ეს ტანმა გაუგზავნა „კომუნისტურ ბლოკს მიანიშებს გადამწყვეტ სამხედრო უპირატესობას“.

გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნის“ ფენეველი კორესპონდენტი ცდილობს დაამციროს საბჭოთა კავშირის წინადადებათა მნიშვნელობა ამ მსჯელობით, რომ ამ წინადადებებში, თითქოს, „არაფერია ახალი ან გასაკვირველი“.

ამავე დროს თვით ამერიკის პრესის კომენტარებშიც აღიარებენ იმას, თუ რატომ გამოიწვიეს დასავლეთელ პროპაგანდისტთა ასეთი დაბნეულობა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის წერილში ჩამოყალიბებულმა წინადადებმა განიარაღებისა და ომის საფრთხის თავიდან აცილების ღონისძიებათა შესახებ. მაგალითად, გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში თომას ჰამილტონი აღნიშნავს, რომ თხოვნა — ჩამოყალიბებინათ თავიანთი პოზიცია ატომური იარაღის გამოყენების აკრძალვისა და მისი შემდგომი გავრცელების თავიდან აცილების საკითხებზე, — ეს ტანმა გაუგზავნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ ყველა სახელმწიფოს და რომ შეერთებულ შტატებს ჯერაც არ გაუციათ პასუხი. ჰამილტონი აგრეთვე იხსენებს, რომ გასული წლის დეკემბერში ამერიკის დელეგაციამ ხმა მიაცა შვეიცის იმ რეზოლუციის წინააღმდეგ, რომელიც მოუწოდებდა არაატომურ სახელმწიფოებს — თავი შეიკავებინათ ატომური იარაღის შეძენისაგან, მაშინ როცა საბჭოთა კავშირმა მხარი დაუჭირა შვეიცის წინადადებას. ჰამილტონი ამხილებს დასავლეთის ნეგატიური პოზიციის ნამდვილ მიზეზებს და წერს, რომ „შეერთებულ შტატებს განზრახული აქვთ კვლავ გაუწიონ ყოველგვარი საჭირო სამხედრო დახმარება თავიანთ მოკავშირეებს“. შემთხვევითი როდია, რომ იმ კომენტარებთან ერთად, რომლებიც ცდილობენ დაამცირონ საბჭოთა კავშირის წინადადებათა მნიშვნელობა, ამერიკის გაზეთები აქვეყნებენ სტატიებს, რითაც მოუწოდებენ — გააძლერონ შეიარაღება, სრულყონ მასობრივი მოსპობის საშუალებანი.

როგორც ჩანს, იმისათვის, რომ მოამზადოს საზოგადოებრიობა განიარაღების კომიტეტის მუშაობის არაბელსაყრელი შედეგისათვის და ამავე დროს ამისათვის არ დააკისროს პასუხისმგებლობა ამერიკის შეერთებულ შტატებს, ადგილობრივმა პრესამ უკვე თათბირის გახსნის წინ დაიწყო მისი „დასამარება“.

მონოპოლიების რუპორი, გაზეთი „უოლ-სტრიტ ჯორნელი“ სარედაქციო სტატიაში აცხადებს, რომ განიარაღების კომიტეტის მუშაობა და შემდგომ მოსალოდნელი უმაღლესი დონის თათბირი „საკმაოდ მტანჯველი ბიზნესია“.

ფიდელ კასტროს გამოსვლა

ჰავანა, 14 მარტი. (საკდესი). კუბის მინისტრთა საბჭომ მიიღო კანონი იმის შესახებ, რომ შეიქმნას მომარაგების მოსაწესრიგებელი ერეფული ხუნტა, რომლის ამოცანაა მოსახლეობაში ძირითადი სასურსათო საქონლის განაწილების დარაციონება.

ფიდელ კასტრომ ილაპარაკა მიღებული კანონის შესახებ თავის გამოსვლაში რადიოთი და ტელევიზიით და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს ღონისძიებანი გამოწვეულია იმით, რომ საჭიროა მოწესრიგდეს სასურსათო საქონლით მოსახლეობის მომარაგების სისტემა. მიუხედავად იმისა, რომ რევოლუციამდელ პერიოდთან შედარებით სასურსათო საქონლის წარმოება მთლიანად მნიშვნელოვნად გაიზარდა, აღნიშნა კასტრომ, იგი ჯერ კიდევ ბევრად ჩამორჩება მოსახლეობის მუდმივად და სწრაფად მზარდ მყიდველობითს უნარს.

ფიდელ კასტრო შეეხო აგრარული რეფორმის ეროვნული ინსტიტუტის ამოცანებს და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინსტიტუტმა ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რათა გაადიდოს სასოფლო-სამეურნეო წარმოება და გადაჭრას სასურსათო საქონლით მოსახლეობის მომარაგებაში წარმოქმნილი სიძნელენი. თავისი განვითარებით, თქვა მან, რევოლუციას შესწევს უნარი გადაჭრას ზრდის ეს და სხვა სიძნელენი. ჩვენ მოგვეპოვება ყველა საჭირო საშუალება, პირობები და შესაძლებლობანი წარმოების მნიშვნელოვანი გადიდებისათვის, რათა დავაკმაყოფილოთ მთელი ხალხის მზარდი მოთხოვნები. კასტრომ მოუწოდა კუბელ ხალხს მტკიცედ იბრძოლონ სპეკულაციის წინააღმდეგ. მან განაცხადა, რომ სპეკულანტი ხალხის მტერია და იგი უნდა გასამართლონ კანონის მთელი სისასტიკით.

დასასრულ ფიდელ კასტრომ ილაპარაკა იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება ამას წინათ შექმნილ გაერთიანებულ რევოლუციურ ორგანიზაციათა ხელმძღვანელობას. კასტრომ აღნიშნა, რომ ეს გადაწყვეტილება შემდგომი ნაბიჯია იმ გზაზე, რათა გაერთიანდეს ყველა რევოლუციური ორგანიზაცია მუშათა კლასისა და მშრომელი ხალხის ერთიან მარქსისტულ-ლენინურ პარტიად. მომავალი პარტიის რიგებში შევლენ ყველაზე საუკეთესო რევოლუციონერი მუშები და გლეხები. მუშათა კლასის მარქსისტულ-ლენინური პარტიის შექმნა შეესაბამება კუბის რევოლუციის დიად ისტორიულ მისიას, განაცხადა მან.

ტელეგრაფი გვატყობინებს

ჩხონჯინი (კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა) ჩავიდა გემი და ჩაიყვანა კორეელი რეპატრიანტების ახალი ჯგუფი, რომელნიც სამშობლოში ბრუნდებიან იაპონიიდან.

თბილისში, იუწყება რადიო „ლაოსის ხმა“, მეამბოხეებმა 31-ჯერ დაარღვიეს დროებითი ზავი. მთავრობის ჯარები და პატეტლაოს რაზმები იძულებული გახდნენ განეხორციელებინათ საპასუხო ღონისძიებანი. ბრძოლების მსვლელობაში მეამბოხეებს დაუხოცეს 199, დაუჭრეს 342 და ტყვედ წაიყვანეს 78 კაცი. მოკავშირეთა ჯარებმა ხელთ იგდეს 14 ნაღმსატყორცნი, ჩამოაგდეს სამი და დაზიანეს ექვსი სამხედრო თვითმფრინავი.

კოლომბოში გაიხსნა ყოველწლიური სამხატვრო გამოფენა, რომელიც ხელოვნების ეროვნულმა ფრონტმა მოაწყო. გამოფენაზე უჩვენებენ ბევრ ნამუშევარს — ფირნერას, ქანდაკებას, ხისა და ძვლის ჩუქურთმას. გამოფენაზე სპეციალური დარბაზი აქვს დთმობილი საბჭოთა მხატვრების ნაწარმოებებს.

კოპენჰაგენში, ყენევის ახლოს, ერთმანეთს შეხვდნენ დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჰიუმი და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი შრედერი. (საკდესი).

უნგრეთი

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა. საბჭოთა კავშირის დახმარებით აგებული ექსპერიმენტული ატომური რეაქტორი ბუდაპეშტის ახლოს.

ფოტო ინტერფოტო — მტი-სა.

პოლონეთი



პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში სულ უფრო ვითარდება ავტომობილმშენებლობა. ხუთწლედის დამლევისათვის — 1965 წელს — პოლონეთის ქარხნები გამოუშვებენ 30.000-ზე მეტ სატვირთო ავტომობილს, თითქმის 37.000 მსუბუქ ავტომანქანას და 4 ათასამდე ავტობუსს. ახლა სამამულო წარმოების მანქანებს მარტო პოლონეთის გზებზე როდი ნახავთ. ისინი იგზავნება ბრაზილიაში, ბულგარეთში, ბირმაში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ფინეთში, გვინეაში, კუბაზე და სხვა ქვეყნებში.

სურათზე: კუბაზე გასაგზავნად განკუთვნილი ავტომანქანები გდინიას ნავსადგურში.

ფოტო ცაფ-საკდესისა.

ჩილის კომპარტიის XII ყრილობა

ჰავანა, 14 მარტი. (საკდესი). როგორც პრესსა ლატინეს საგენტოს კორესპონდენტი იუწყება, ბუშინ სანტიაგოში გაიხსნა ჩილის კომუნისტური პარტიის XII ყრილობა.

თავაზიანობის პასუხად

კაირო, 13 მარტი. (საკდესი). ძველი ეგვიპტური კულტურის უძვირფასესი ძეგლების მოძიაცი გამოფენიდან, რომელიც ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებშია დემონსტრაციისათვის, გაიტაცეს ბრინჯაოს კვერთხი — ეგვიპტის ეროვნული ვუზუეის ტუტანხამონის განთქმული ხის ქანდაკების ნაწილი.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის კულტურისა და ეროვნული ხელმძღვანელობის სამინისტრომ გუშინ ამასთან დაკავშირებით გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც მოითხოვს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ დაუყოვნებლივ განახორციელოს ღონისძიებანი გატაცებული ექსპონატის აღმოსაჩენად და დასაბრუნებლად.

ბრძოლები გვატემალაში

მეხიკო, 13 მარტი. (საკდესი). როგორც გაზეთი „პრესსა ლიბრე“ იუწყება გვატემალაში გრძელდება პარტიზანთა ბრძოლა იდიგორას ფუენტესის დიქტატორული რეჟიმის წინააღმდეგ, რომელიც წარსულ თვეში დაიწყო. პარტიზანული ფრონტი 13 ნოემბერი, — წერს გაზეთი, სასტიკ ბრძოლას აწარმოებს გვატემალის რეგულარული არმიის წინააღმდეგ, უმთავრესად გვატემალის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ამასთან მთელი რიგი დამარცხებანი მიაყენა ამ არმიას.

გაერთიანებული ეროვნებანი

თანამშრომლობა ეკონომიკურ საკითხებში

ჟენევა, 14 მარტი. (საკდესი). ეკონომიკურ საკითხებზე ეროვნული ინსტიტუტების ერთობლივ ინსტიტუტებს ეროვნული ინსტიტუტების ეროვნული ინსტიტუტებს ეროვნული ინსტიტუტებს ეროვნული ინსტიტუტებს

ისმინე, ელადა!

ოლიმპოს წმინდა მთაზე ქარი არხევს საბერძნეთის ეროვნულ დროშას, დაფლეთილს. მარადი გაზაფხულის ქვეყანაში ვარდი გაუფურჩქვნელად ჭკნება. მოვარდნილი ღვართქაფი წალეკვას ემუქრება ძველი დიდების აკვანს, გარდასულ დროთა ეგზოტიკას, ხალხის სიამაყესა და წმიდათაწმიდას.

— რა მოელის ჩემს ტურფა მამულს, მრავალტანჯულ ჩემს მშობლიურ მხარეს? შეძლებს ოდესმე ყვავილად სრულად შთანთქას და გაანადგუროს ციური სახე, მშვენიერება ჩემი მიწაწყლისა? არასოდეს. ხალხმა საუკუნეებში გამოატარა იგი, ხალხივე ახსნის ხუნდსა და შავ რიდეს!

ნელი ჩურჩულით ასე ეხმაურებოდა თავის გულისთქმას კდემამოსილი და ფერმიხდილი მგზავრი. იგი ტოვებდა მშობლიურ არემარეს ნათელი იმედით, ღრმა რწმენით და მიემგზავრებოდა იქ, სადაც ოცნების ბალი ძალუმად ყვაოდა, ცის კაბადონზე მოციმციმე ცხრა-თვალა მზე მაცოცხლებელ სხივებს ჰფენდა ქვეყნიერებას.

მის თვალწინ წუთით, სულ ერთი წუთით, არწივის ფრენის სისწრაფით გაიელვა ოცეოდე წლის მისმა ცხოვრებამ: ანავებულ ტირფივით მთრთოლვარე ბავშვობამ, — ედემივით ტურფა ამფიკლიანი გიტარებუნა. მთის კალთებზე შეფენილი ვენახებისა და ზეთისხილის ბაღების, ვეფ-მინდვრებზე მობიბინე ყანის სურნელი ულვიძებდა სიყვარულის ნაზ გრძნობას, სიფაქიზესა და სინარნარეს. მთის ნაკადულთა მჩქეფარება და ზღვის ტალღების კლდესთან შეჯახება — ღელვარენი უნერგავდა შემართების, შერკინების, დაუფრეველი წინააღმდეგობის სურვილს. ქართან და ცეცხლთან მებრძოლი შმობლების შეგონება სამშობლოს დიდებულ წარსულზე, ულვთო აშმყოსა და იმედიან მომავალზე შურისძიებად ექსოვებოდა და ეკონებოდა მის გულს.

იმ ხანად ელადის მიწას ფაშისტები დაეპატრონენ. გერმანელებმა და სამშობლოს გამყიდველებმა ყაზარმად აქციეს ეს ტურფა მხარე. მაშინ ფატულა ათანაკოპულუ 7-8 წლისა თუ იქნებოდა. ეს ასაკი ყველა ქვეყანაში ბავშვობის წლებია, უზრუნველობისა და უდარდელობის პერიოდი. ფატულამ სწორედ ამ დროიდან შეხედა ცხოვრებას ფართოდ გაბელილი თვალებით: შემთხვევით გადავარდნილ ბურთის ამოსალებად გადაძვრა ჩამტვრეულ ფანჯარაში და ბავშვს შიშისაგან ტანი აუცახცახდა: ამდენი იარაღი, თოფი და ტყვია-წამალი. არასოდეს არ ენახა. უცებ გონს მოეგო, სახე გაუნათდა, იარაღს ფრთხილად დაავლო ხელი, ცხენჯოხივით ზედ შეჯდა და შინისაკენ შურდულივით გაქანდა.

ფატულამ დაიყოლია გოგო-ბიჭები. „ცხენრბანას“ თამაშის ხერხით ბავშვებმა შეძლეს გაეტაცნათ საკმაოდ ბევრი იარაღი, რომლითაც შეიარაღდა პარტიზანთა ერთი კარგა მოზრდილი რაზმი.

შემდეგ ათენი — ანტიკური ცივილიზაციის მწვერვალი, ძველი ელადის ნანგრევების განუმეორებელი სილამაზე, თანამედროვე ფართო ბულვარებით, განიერი ქუჩებით...

კაფენის ბადე უფრო შემჭიდროვდა, თანდათან დაითალნა. აქ, ამ ვიტრინა-სავით მორთულ-მოკაზმულ ქალაქის ზედაპირს მიღმა ფატულა ცისმარე დღეს ხედავდა სევდით მოცულ არემარეს, სვეგამწარებულ სახეებს, ჩაყვითლებულ, გაუხარელ ბავშვებს, ცხოვრების სუსხისაგან უმოწყალოდ დამზრალ, გითოშილ ადამიანებს.

გადიოდა დღეები, იზრდებოდა გოგონაც. ბევრი რამ ჰქონდა გაგონილი ჯოჯოხეთის სასტიკ კარამოტთან მებრძოლი საბერძნეთის რევოლუციური ახალგაზრდობის ორგანიზაციის — „ეპონის“ შესახებ. ფატულამ ახალგაზრდობის ამ უშიშარ რაზმში ფეხი შედგა, როცა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა განსაკუთრებით მძვინვარებდა. გერმანელების გაძევების შემდეგ ქვეყანას დაეპატრონენ ინგლის-ამერიკის იმპერიალისტები და ბერძენი მონარქისტ-ფაშისტები. იდგა სისხლის თქეში, რბევა, თარეში. ცისა და მიწის ხიდი მტერს ჰქონდა ჩარაზულ-ჩაკეტილი.

...არა, არ შეეძლო საბერძნეთის ხსნა მითიურ აფროდიტეს სილამაზეს, ზეცისს მრისხანებას, ათენას სიბრძნეს, ცის მბრძანებელი ჰერას და ზღვის მეუფის პოსეიდონის მფარველობას.

ლახვარსობილი სამშობლოს ბედი ბეწვზე ეკიდა. გადარჩენა შეეძლოთ მხოლოდ ჭეშმარიტ შვილებს, ბერძნული მიწა-წყლის ღრმად მოტრფიალეთ, თავისუფლებისათვის მებრძოლ დემოკრატიულ არმიას.

საბერძნეთის დემოკრატიული დივიზია კომუნისტების ნიკოს სკოტიდასისა და სამხედრო კომისარის ნიკოს ბელოიანნისის ხელმძღვანელობით შესანიშნავად ასრულებდა ამ მოვალეობას, მუსრს ავლებდა მძიანადოებს, თავგამოდებით ებრძოდა ფაშისტურ რეჟიმს.

ფატულა მათთან წავიდა. უშიშარი ქალიშვილი კომბინატის რიგებში მიიღეს. პარტიზანი ვაჟკაცების მხარდამხარ იბრძოდა იარაღით, ჯერ ქვეითად, შემდეგ არტილერისტად, მეკავშირედ. მას მონაწილეობის მიღება მოუხდა მურგანას, ვიტისს, პინდოსის და გრამოსის მთებში გამართულ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში.

ფატულას სიმამაცე და თავდადება აღინიშნა გრამოსისა და ოლეტრას ბერძნული ორდენებით.

უკანასკნელ ბრძოლაში, გრამოსის მთის ოპერაციაში, მისმა პატარა ჯგუფმა შეტევა წარმატებით დაამთავრა, მაგრამ უშიშარი მებრძოლი ქალი დაიჭრა.

პარტიამ გადაწყვიტა იგი მალულად გადაეყვანა დემოკრატიულ ქვეყანაში.

და აი ფატულა ტოვებს ტანჯულ სამშობლოს, შეჰყურებს ცად აზიდულ გრამოსის მთის მაღალ შუბლს და სჯერა, ნამდვილად სჯერა, რომ დაიკეტებს, დაიგრგვნებს ცის მეზი და თავს რისხვად დატყდება მისი ქვეყნის ამწოოკებლებს.

— მშვიდობა შენდა, ჩემო ქვეყანავ! — ჩურჩულებენ ტუჩები.

— გზა მშვიდობისა! — თითქოს ჩაესმის სისხლით მორწყული მშობლიური მიწის ლოცვა-კურთხევა.

ფატულა განაკურნა, ახალი ყოფის ახალ ყალიბში ახლებურად დაიწყო ცხოვრება. რუმინეთი, პოლონეთი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ჩეხოსლოვაკია — ამ სხვიმოსილ ქვეყნებში ყველაფერი სასურველი და სანატრელი იყო ჭირნახული ქალიშვილისათვის. მიიღეს დად და ძენთა ცხოვრების ბედნიერ სურათებს. აგერ სახელგანთქმული ბერძენი მეცნიერი სავას ტირსენიდი, ნიკო პოლიტოვი, მილტიადის ცანდეკოვი და გიორგი ალმანოვი, უმაღლესგანათლებამიღებული ელენე იაკიმიდუ და ელენე ტეოდორიდი, რუსთაველი ინჟინერი ნიკოს მელიკიდისი, ბორჯომელი ეეტ-ექიმი ნიკოს აეფრიკიდისი, პედაგოგები, აგრონომები, ექიმები — რამდენიც გნებავთ. საქართველოში მცხოვრები ყველა ბერძენი წერაკითხვის მცოდნეა. ბავშვები სკოლაში დადიან.

ფატულას საქართველოში ადამიანური სითბო, სიყვარული, ყურადღება და მზრუნველობა არ აკლია.

მარიამ არობელიძის დედობრივად თბილ მკერდს ბევრჯერ დაუამებია ცხის ჯურღმულებში გამომწყვდეული მშობელი დედისა და ოტაკქვეშ მომუშავე მამის ნახვის სურვილი. გერმანელი ფაშისტებისა და ინგლისელ-ამერიკელი ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლაში დაცემული ძმების და ამჟამად პოლიტიკური პატიმარი ძმის მოგონებით გამოწვეული სევდა და თვალებზე მომდგარი ცრემლი შეუშრიათ ქართველ მეგობრებს ნინო სოლოღაშვილს, თამარ ხუციშვილს, ლილი ძღიერიშვილს...

ხოლო გული... ქართველი ვაჟკაცი დაეპატრონა მის გულს, და თუ ოდესღაც ბერძენმა იაზონმა გრძნეული კოლხი ქალის მედეას გული მოინადირა და თან წარიტანა, ალბათ ეხლა ივერიელი ჭაბუკის ცეცხლოვანი სიყვარული შეძლებს საქართველოში დატოვოს ელადელი ქალიშვილი ქართველ მანდილოსნად.

ასე იქცა საქართველო მის მეორე სამშობლოდ, კერად და საცხოვრებლად. ამიტომ უმღერის იგი საქართველოს გულის სიღრმიდან მარგალიტივით ამოტანილი სიტყვებით:

ო, საქართველოვ, ტურფავ,
ჩემო მეორე დედავ,
შენი სიცოცხლით ვსუნთქავ,
ყველგან შენს ღიმილს ვხედავ.
ან: ... ლექსს კი არა და
გულს მოგიძღვნი,
შენთან ელადამ
სასოებით რომ გამატანა.

ფატულას პოეტური აღმაფრენა ღრმა განცდებთან არის დაკავშირებული. იგი უკვე რამდენიმე წიგნის ავტორია: უკვე გამოიცა „ელადის გაზაფხული“, „უმცროსი ძმა“, „სიყვარული და ოცნებანი“. მალე იხილავს სინათლეს „არწივები და ქლდეები“, ამ წიგნებში იგი უმღერის სამშობლოს, თავისუფლებას, საბჭოთა ადამიანების შრომასა და ყოფას, მშვიდობას, საქართველოს მთა-ბარს, პროგრესისათვის მებრძოლ ყველა ქვეყნის ადამიანებს. მისი ლექსები თარგმნილია ქართულ, რუსულ, გერმანულ, რუმინულ, ჩეხურ ენებზე, სულ 16 ენაზე.

ფატულამ ბერძენ მკითხველებს გააცნო საბჭოთა მწერლები. განსაკუთრებულ ~ აქვს ილიას, აკაკის, ვაჟას თარგმნა.

ეროვნებას და ქმნის ქალი კეთილ ნებებს, ადამიანთა სასახელოდ, სამშობლოს სადიდებლად.

პრესას, რადიოს ყოველდღე მოაქვს ცნობები საბერძნეთის გავერანების შესახებ; როგორ აქციეს იგი ამერიკელ ოკუპანტთა საოარეშოდ, როგორ გახადეს ნატოსა და შეერთებული შტატების რაკეტების ბაზად და როგორ ცდილობენ დასავლეთის აგრესიული წრეები ბალკანეთში შექმნან საერთაშორისო დაძაბულობის კერა... კარამანლისის მთავრობა კი წინააღმდეგობის ნაცვლად თვით დაადგა ნეოჰიტლერიზმის გზას.

ადარებს ქალი საბერძნეთში გაჩაღებულ წინასაარჩევნო ბრძოლას ჩვენს ქვეყანაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადებას.

ფატულა საბჭოთა ადამიანებთან ერთად თანაბარი უფლებით ხმას მისცემს ხალხის რჩეულებს. საბერძნეთში კი ადეოკატი ტიტელიუსი დააპატიმრეს მხოლოდ ანტიფაშისტის დაცვისათვის, პედაგოგი მიხეილ პაპამავროსი შრომისათვის რომელიც თითქოსდა ეწინააღმდეგება საბერძნეთში გამეფებულ რეჟიმს, ბურგომისტრი კამავოსი კი მხოლოდ იმისათვის, რომ ავტობუსში კითხულობდა ოპოზიციურ გაზეთ „ავგის“.

როცა სევდა სამშობლოს ბედზე მწარე ფიქრებით გულს მოაწვება, ცრემლით სავსე თვალებს მიაპყრობს მისი ნათელი და მყუდრო ბინის პირდაპირ მტკვრის სანაპიროზე მარგალიტებად ჩამწკრივებულ ჭაღების მოკიაფე შუქს და ჩაიღიღინებს:

ჩემო ელადავ, შენ ჩემო მხარეკ,
სამშობლოვ ჩემო, შენთვის დავდნები,
ცხარე ცრემლები ბარემ იკმარე
და სისხლის დენა გეყოს ამდენი.

ბერძენი ქალიშვილი დიდი გულმოდგინებით და ყურადღებით აღევნებდა თვალს სკკპ XXII ყრილობის მსვლელობას. აღტაცებით კითხულობდა პროგრესულ ძალთა წარმომადგენლების, სხვადასხვა ქვეყნის კომუნისტური პარტიების მეთაურთა გამოსვლებს. და როცა ამ დიდი საკრებულოს მაღალი ტრიბუნიდან ბლას როკას მამაბიანი ხმა გაისმა, ფატულას გულში დაგუბებულმა მღელვარე გრძნობის ნაკადმა ქაღალდის ფურცლებზე იპოვნა სათავე:

— ისმინე ელადა! ოკეანის გაღმა კონტინენტი წითლად შეიფერა, თავისუფლების ტალღამ მსოფლიოს გადაეარა, მრავალტანჯულთა მზე ამოვიდა. დადგა შენი ჯერიც. უხმე ჰერკულესის და ანთეოსის შემართებას, გაწყვიტე ხალხისათვის წამებული პრომეთეს ჯაჭვი, შთაბერე შენს ხალხს ბელოიანნისის, ილეტრას მაღალი სული, ციხის ჯურღმულებიდან იხსენი შენი გმირი მანოლის გლეზოსი, შეაერთე და შეამჭიდროვე შენთვის თავადდებულთა ძალა ძლიერი.

თინა ზარგინავა.

* * *

სურათზე: ფ. ანაკოპულუ.

ამბები, ცნობები

წულუკიძეში ლენინის მოედანზე დამთავრდა და ამ დღეებში საექსპლოატაციოდ გადაეცემა ახალი 35-ბინიანი საცხოვრებელი სახლი ძაფსახვევი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთათვის. სახლის პირველ სართულში უკვე მუშაობენ მაღაზიები. **სურათზე:** ახალი საცხოვრებელი სახლი წულუკიძეში.

ფოტო პ. ლუცენკოსი (საქდესის ფოტოქრონიკა).

დროება და პრემია — გამარჯვებულს

ჩვენს დედაქალაქში ყოველწლიურად ფართოვდება კვების მრეწველობის სავაჭრო ორგანიზაციების ქსელი. შენდება ახალი, არქიტექტურულად ლამაზი, კეთილმოწყობილი რესტორანები, კაფეები, ნახევარფაბრიკატების მაღაზიები. სავაჭრო ქსელის ზრდასთან ერთად უმჯობესდება მოსახლეობისათვის მაღალხარისხოვანი კვების პროდუქტების მიწოდება და კულტურული მომსახურება.

ამ მხრივ თვალსაჩინო წარმატებები აქვს მოპოვებული თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს რესტორანების ტრესტს (დირექტორი ი. ბოკერია). ამ სისტემაში შემავალ დაწესებულებებში ფართოდ დაინერგა კერძებისა და საკონდიტრო ნაწარმის დამზადება, საგრძნობლად ამაღლდა კვების პროდუქტების ხარისხი.

მოკლედ ყველაფერზე

☐ **რუსთავი.** დიდძალი ხალხი იყრის თავს ამ დღეებში მეტალურგთა კულტურის სახლის ბიბლიოთეკაში. ამავე დროს წიგნზე მუშათა მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით მეტალურგიული ქარხნის საამქროებში გავხსენით 16 მოძრავი ბიბლიოთეკა. (ნ. მუმლაძე).

☐ **ზუგდიდი.** ამას წინათ სოფელ კახათის აგიტპუნქტში (გამგე მ. ჯოლოგუა) ჟაიმართა სკკპ XXII ყრილობის მასალების მესწავლეთა შორის მიძღვნილი კითხვა-პასუხის საღამო. ამ საინტერესო ღონისძიებას 300-ზე მეტი კაცი დასწრო. (ბ. ალშიბაია).

☐ **„ჩორნი რინოკი“.** ამ დღეებში ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე მყოფ ქართველ მეცხვარეებს ესტუმრა საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის აგიტმსტაგრული ბრიგადა, რომელმაც შინაარსიანი საუბრები და კონცერტები გამართა ფერმებსა და მეცხვარეთა ბინებში. (ჯ. ლუსუტაშვილი).

ამინდი ჩვენს პლანეტაზე

მარი არხევს ხეების ტოტებს, გაზაფხულის მზით გაკაშკაშებულია დედაქალაქის სახლები და ქუჩები. უამინდობა — ხან წვიმა და ხან თოვლი — მოსკოვში და საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილის ცენტრალურ რაიონებში მშვენიერმა, ყინვიანმა, მზიანმა დღეებმა შეცვალა.

ძალიან თბილი ამინდი იყო უკრაინაში, სადაც ტემპერატურამ 15 გრადუსამდე აიწია. თერმომეტრი 20 გრადუსზე მეტ სითბოს უჩვენებს როსტოვის ოლქში, ყირიმსა და კავკასიაში. ხმელთაშუა ზღვის თბილი ჰაერი მოვიდა ვოლგაზე, შუა და სამხრეთ ურალზე და მის დასავლეთით მდებარე მიწებზე, გადავიდა ურალის მთებს იქით, ციმბირში. მართალია, თუ სამხრეთში ტემპერატურამ ნულს ზევით 25 გრადუსამდე აიწია, ხვერდლოვსკში იგი სამჯერ უფრო დაბალი იყო.

შუა კვირაში ცივი არქტიკული ჰაერი სკანდინავიიდან გაიჭრა სამხრეთით ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში, იუგოსლავიაში, გადაუარა უკრაინის დასავლეთ რაიონებს, სადაც უხვი წვიმები თოვამ და ქარბუქმა შეცვალა. თოვლის საფარის სიმაღლემ კვლავ იმატა და ნახევარ მეტრს მიაღწია. ტემპერატურამ მკვეთრად დაიწია; მაგალითად, ლვოვში სამი დღის მანძილზე იგი 18 გრადუს სითბოდან 12 გრადუს ყინვამდე დაეცა, აცივდა ორა მარტო უკრაინაში, არამედ როსტოვის ოლქშიც, კავკასიაშიც. ეს აფერხებს მცენარეთა განვითარებას.

გაზაფხულს ვერაფერი ვერ შეაჩერებს. შუა აზიაში სითბო დღითიდღე მატულობს: ღამეობით ჯერ კიდევ იყო სუსხი, დღისით კი თერმომეტრი 23 გრადუს სითბოს უჩვენებდა; ჰაკავის გარგარი და ატამი. მალე აყვავდება ვაშლი. გაზაფხულის სუნთქვამ აღმოსავლეთ ციმბირში, კრასნოიარსკსა და ირკუტსკშიც ჩაიღწია: 8 გრადუსი სითბო იყო ანგარაზე, სადაც ძლიერ ყინვაში წყალზე ქანაობენ გარეული იხვები, რომლებიც აქ ატარებენ ზამთარს.

სიცივის პოლუსმა გადაინაცვლა იაკუტიიდან მდინარე ოლენიოკის ველში, სადაც 50 გრადუსი ყინვა იყო. ძლიერი ქარიშხალი ქრის ოხოტსკის ზღვაში, სახალინზე, კამჩატკის ნაპირებზე, ბობოქრობს ატლანტიკაც, სადაც ქარის ძალა 12 ბალს აღწევს.

მერყეევი ამინდია იაპონიაშიც. სამხრეთი ციკლონები უხვ წვიმებსა და ელჭექს იწვევენ. შემდეგ ჩრდილოეთიდან ქარებს მოსდევს მსუბუქი ყინვა და თოვა. ჩინეთში ხან წვიმს, ხან მიწა ხშირი ნისლით იფარება. ჩინეთის სამხრეთ ნაწილში ხშირია ელჭექი, ტემპერატურა 20 გრადუს სითბოზე მაღლა ავიდა. ელჭექი ხშირია ინდოჩინეთში, სადაც მოწმენდილ ცაზეც კი გაიელვებს ხოლმე მოწითანო ცალი.

კვლავინდებურად ცხელა ინდოეთში, ისევე როგორც თითქმის ყველგან დედამიწის ეკვატორისპირა ზოლში: აფრიკაში, სამხრეთ ამერიკასა და ავსტრალიაში, ადგილ-ადგილ მოდიოდა ელჭექიანი წვიმა.

ამ კვირაში ისევ აცივდა ამერიკის შეერთებულ შტატებში; კლდოვან მთებში თოვდა, გაძლიერდა ჩრდილოეთის ქარი. კანადის ჩრდილოეთ ნაწილში კი ყინვამ იკლო, თუმცა თერმომეტრი დროდადრო ნოლს ქვევით 30 გრადუსზე დაბლა ეშვებოდა.

მეექვსე კონტინენტზე — ანტარქტიდაში — ქრის გრიგალი, მირნში — ქარბუქია, 14 გრადუსი ყინვაა.

გრეტა მიხაილოვა,
პროგნოზების ცენტრალური ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი.

საბაგენტო „ახალი ამბები“.

ქომუნისტი პირველი

სტოკჰოლმიდან მვატყობინებენ

მეექვსე პრეტენდენტი

სტოკჰოლმი, 14 მარტი. (ტელეფონით „კომუნისტის“ სპეც. კორ.). ფაქტიურად კიურასაოს საგზურის საკითხი მეხუთე პარტიაში წყდებოდა, სადაც ერთმანეთს ხვდებოდნენ ლ. შტეინი და ს. გლიგორიჩი. ლ. შტეინის გამარჯვების, ან პარტიის უაინით დამთავრების შემთხვევაში მეექვსე პრეტენდენტი პ. ბენკო ხდებოდა.

ამ პარტიაში, რომელიც გუშინ შედგა გათამაშდა სიცილიური დაცვა. ს. გლიგორიჩი ინიციატივიანად და შეუპოვრად იბრძოდა. ეს პარტია ძალზე წაგავდა გელერ-ბოლბოჩანისა და გელერ-ფიშერის პარტიებს. შტეინი ისწრაფვოდა ცენტრის დაუფლებისათვის. ერთ დროს მან მეტოქეს პაიკი შესწირა და სასურველ შედეგსაც მიაღწია, მაგრამ შემდეგ გაიუარესა მდგომარეობა. პარტია ენდშპილში გადავიდა, სადაც ს. გლიგორიჩი პერსპექტიულ პოზიციას ინარჩუნებდა. მოულოდნელად ს. გლიგორიჩმა უხეში შეცდომა დაუშვა და მატერიალური ზარალი განიცადა.

პარტია გადაიდო.

ლ. შტეინს ეტლში ორი მსუბუქი ფიგურა და ერთი პაიკი დარჩა. საათნახევრიანი შესვენების შემდეგ ბრძოლა განახლდა, მაგრამ იგი დიდხანს არ გაგრძელებულა, ს. გლიგორიჩმა მესამე დამარცხება განიცადა.

ამრიგად, მეექვსე პრეტენდენტი გამოვლინდა, კურასაოს საგზური პ. ბენკომ მოიპოვა.

ლ. შტეინმა მატჩ-ტურნირში 8 ქულა შეაგროვა და პირველი ადგილი დაიკავა.

ფინალისტები

დამთავრდა წყალბურთელთა გუნდების წინასწარი შეხვედრები ქვეჯგუფებში სსრ კავშირის პირველობაზე. გამოვლინდა 8 ფინალისტი. ესენი არიან მოსკოვის, თბილისისა და ლვოვის „დინამოს“, ვმფ-ს, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და „შრომითი რეზერვების“ და ლენინგრადის „ბალტიკისა“ და „სპარტაკის“ გუნდები.

ფინალური შეხვედრები ორ წრედ შედგება მოსკოვში. თბილისის „ბურევესტნიკის“ გუნდმა თავის ქვეჯგუფში მესამე ადგილი დაიკავა და მეორე ფინალურ ჯგუფში მოხვდა.

„ფორპედო“ სეზონის წინ

თითქმის ერთი თვეა ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელთა კოლექტივი შეკრებას ორმაჩირეში გადის და საკავშირო ჩემპიონატისათვის ემზადება.

გუნდის უფროსმა, უკრაინის სსრ დამსახურებულმა მწვრთნელმა ი. ლობჟანიძემ ჩვენს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

შეკრება წარმატებით მიმდინარეობს. გუნდი შეივსო ახალგაზრდა, პერსპექტიული ფეხბურთელებით — შეიქმნა ძტკაცა, მეგობრული კოლექტივი. გუნდის თვითეული წევრი მთელი პასუხისმგებლობით ეკიდება წვრთნას, იმაღლებს ოსტატობას.

ჯერ კიდევ საბოლოოდ არ დაგვიდგენია ძირითადი შემადგენლობა. ამის საშუალებას მოგვცემს საკონტროლო მატჩები, რომელსაც უახლოეს დღეებში მოვაწყობთ. პირველი ასეთი შეხვედრა გვაქვს ზუგდიდში ადგილობრივ „ოდიშთან“, რომელიც ჩვენს სასარგებლოდ (5:0) დამთავრდა.

შეიძლება ითქვას, რომ დაცვის ხაზი უფრო სტაბილურია. თავდამსხმელთა ხეთეულის საკითხი ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ გადაწყვეტილი. კარს დაიცავს ურუშაძე, მცველებად ითამაშებენ — ლოსაბერიძე, თორაძე, ცხოვრებოვი; ნახევარმცველებად — მუმლაძე, ნიშნიანიძე, მიროშნიკოვი, სიამაშვილი; თავდამსხმელებად — ჩხარტიშვილი, ყორდანია, ხაჟალია, სორდია, ლექაკა, ზარდანია, მაჭარაშვილი და სხვ.

ახლა, შავი ზღვის სანაპირო კურორტებზე ოსტატთა ბევრი კოლექტივი გადის წვრთნას. ლესელიძეში იმყოფებიან კიევის, მოსკოვისა და ლენინგრადის „დინამოს“ გუნდები, ადლერში — დონის როსტოვის სკა, გუდაუთაში — ლენინგრადის „შრომითი რეზერვები“ და სვერდლოვსკის „ურალმაში“ და სხვ.

ჩვენი საკონტროლო მატჩების კალენდარი ასეთია: 15 მარტს ორმაჩირეში შეეხვდებით ლუგანსკის გუნდს, 20 მარტს თბილისში — კიევის „დინამოს“, 24 მარტს ლესელიძეში — დონის როსტოვის სკა-ს, 28 მარტს ორმაჩირეში — სვერდლოვსკის „ურალმაშს“. უკანასკნელი საკონტროლო მატჩი გვექნება ქუთაისში 27 აპრილს სსკა-სთან.

დამატებით დროში

დინამოელებთან გამარჯვების შემდეგ რიგის ვეფ-ის კალათბურთელები თბილისის „ბურევესტნიკს“ შეხვდნენ. ეს მატჩი შედგა გუშინ სპორტის სასახლეში.

შეჯიბრება მძაფრი და შეუპოვარი იყო. თბილისელები მოქმედებდნენ შეწყობილად, კოლექტიურად, მაღალი ტემპით. ტაიმი დამთავრდა „ბურევესტნიკის“ სასარგებლოდ 32:30.

მეორე ნახევრის დასაწყისი სტუმრების სასარგებლოდ არაფერს მეტყველებდა. 28-ე წუთისათვის ქულათა სხვაობა 13 გახდა, მაგრამ თბილისელებმა ვერ შეძლეს ამ უპირატესობის შენარჩუნება. როცა ძირითადი დრო ამოიწურა ანგარიში იყო 63:63.

დამატებით დროში ინიციატივა ხელთ იგდეს რიგელებმა და გაიმარჯვეს 73:69.

გ. ვ. სიხარულიძე

გარდაიცვალა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი გერმანე ვლადიმერის-ძე სიხარულიძე.

გ. სიხარულიძე დაიბადა 1911 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ბუკისციხეში.

ჩოხატაურის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმსა და სოფელ ბაბვის კოლმეურნე ახალგაზრდობის სკოლაში სწავლის შემდეგ გ. სიხარულიძემ შრომითი საქმიანობა დაიწყო 1935 წელს ჯერ გაზეთ „მუშის“ რედაქციაში, შემდეგ კი გაზეთ „ნორჩ ლენინელში“ — რედაქტორის მოადგილედ.

1939 წლიდან გ. სიხარულიძე სკკპ წევრია. იგი 1940 წლის აპრილიდან მუშაობს გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში ჯერ მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის განყოფილების ლიტერატურულ მუშაკად, ხოლო 1948 წლიდან ამავე განყოფილების გამგედ. 1942-1944 წლებში იბრძოდა ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ დიდი სამამულო ომის ფრონტებზე, სადაც მძიმედ დაიჭრა.

გ. სიხარულიძემ 1949 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიცვა დისერტაცია და მოიპოვა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. 1951 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე იგი მუშაობდა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში, ეწეოდა ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას, იყო მრავალი მეცნიერული ნაშრომის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობდა რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში.

გ. სიხარულიძე გამოირჩეოდა შრომისმოყვარეობით, თავმდაბლობით და გულისხმიერებით. მისი ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება ამხანაგების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

რედაქტორი
დ. მჟელიშვილი.

15 მარტი

თეატრები: **ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის** — ბოჰემა (პრემიერა, მე-12 აბონ. მე-7 სპექტაკლი), **რუსთაველის სახელობის** — ნ. ბარათაშვილი, **მარჯანიშვილის სახელობის** — ფეხბურთელები.

ტელევიზია: 12.00 — მხატვრული ფილმი „უნებისყოფო მამაკაცი“, 18.00 — ყველაზე პატარებისათვის — „ცეროდენას ეკრანი“, 18.20 — მოსწავლეთათვის „ანკესა მოგზაურობს სკოლებში“, 18.40 — კონნარკვეი, 19.00 — გადაცემა „პარტიაურის მდინარის გამოცდილებიდან“, 19.20 — კინოჟურნალი, 19.30 — პასუხი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე, 19.50 — კინოჟურნალი, 20.00 — გადაცემა ციკლიდან „დებუტატობის კანდიდატები“ — ალექსი მაჭავარიანი, 20.40 — ახალი ამბები, 21.00 — მხატვრული ფილმი „მე ვიტყვი სიმართლეს“ — რუსული ვარიანტი (საბჭოთა არმიის მეომრებისათვის).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიური ფაკულტეტის დეკანატი დაუსწრებელი სწავლების სტუდენტების საყურადღებოდ აცხადებს, რომ
თბილისისა და **ქუთაისის** საკონსულტაციო პუნქტებზე მიმაგრებული ყველა კურსის (გარდა V კურსისა) სტუდენტებისათვის საგაზაფხულო — საგამოცდო სესიები იწარმოებს პირველი ივნისიდან.
V კურსის ყველა სტუდენტისათვის გამოცდები მოეწყობა 2 აპრილიდან 22 აპრილამდე.
რაიონებში მცხოვრებ სტუდენტთათვის გამოცდები მოეწყობა შემდეგი გრაფიკით:
I და II კურსისა — 25 აპრილიდან.
III და IV კურსისა — 12 მაისიდან.
სტუდენტები ვალდებული არიან დაიჭირონ საკურსო და საკონტროლო თემების სარეცენზიოდ წარმოდგენა, ამასთან სესიებზე გამოცხადებისას თან უნდა იქონიონ ცნობა სამუშაო ადგილიდან, წინაადმდეგ შემთხვევაში გამოცდებზე არ დაიშვებიან.

ბალის დვარიონასის დირიჟორობით

მოძმე რესპუბლიკების მუსიკალური ხელოვნების გაცნობა ყოველთვის საინტერესოა, მით უფრო, თუ გაცნობას მაღალი საშესრულებლო კულტურისა და მკაფიო შემოქმედებითი თავისებურების მეტყველი აზის.

კონსერვატორიის დიდ დარბაზში სიმფონიური მუსიკის ორი კონცერტით გამოვიდა გამოჩენილი თანამედროვე ლიტველი კომპოზიტორი ბალის დვარიონასი. მდიდარი და მრავალფეროვანი იყო კონცერტების რეპერტუარი, განსაკუთრებით ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც ჩვენთან იშვიათად სრულდება.

მრავალმხრივმა ნიჭიერებამ დვარიონასს სახელი გაუთქვა ჩვენს ქვეყანაშიც და მის გარეთაც. იგი საუცხოო პიანისტი და დირიჟორია და კონცერტებით ხშირად გამოდის საბჭოთა კავშირის ქალაქებში და საზღვარგარეთ. დვარიონასი სწავლობდა ლეიპციგის კონსერვატორიაში მსოფლიო ხელოვნების დიდ ოსტატებთან პიანისტ ეგონ პეტრისთან და დირიჟორ ბაბენდეროტთან.

პირველივე შთაბეჭდილება კონცერტების შემდეგ ასეთი იყო: საფირიჟორო პულტთან დგას ბრწყინვალე მუსიკოსი, რომელმაც საუცხოოდ იცის მსოფლიო ლიტერატურა. დვარიონასი შესანიშნავად ფლობს ორკესტრს. იგი დირიჟორობს უბრალო, ძუნწი ჟესტებით, მაგრამ დიდი შინაგანი ტაქტით და ტემპერამენტით.

ფრანკისა და ბრამსის სიმფონიებს დვარიონასმა ისეთი გემოვნებით და რომანტიკული აღმაფრენით უდირიჟორა, რომ მსმენელმა მთლიანად შეიგრძნო მათი თავისებური სურნელი.

ჩვეულებრივად დირიჟორები იშვიათად ჰკიდებენ ხელს ამ ნაწარმოებებს, ამჯობინებენ რამდენიმე ავტორის საყოველთაოდ ცნობილი ქმნილებების შესრულებას, რომლებიც ისე ხშირად სრულდება, რ